თებერვალი
1932 წ.
№ 74

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
FEVRIER
1932—№ 74

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

შინაარსი:

მეთაური—კავკასიის კონფედ. პაქტის პროექტი.
ანქარი—შავი დღე.
მ.—ანი—გოეთეს წელიწადი.
ი. ზ.—ქართული წარმოდგენა პარიზში.
ივ. ზ—ლი—ეროვნული მოძ. მაჰმადიანთა შორის.
უცხოეთის მიმოხილვა.
საქართველოს ამბები.
გ. უ.—გიგო შარაშიძე.
ლეონ ვასილევსკი.
ადერბეიჯანელთა, უკრაინელთა შორის.
მოძრაობა თურქესტანში.
სირცხვილია.
წერილები რედაქციის მიმართ.
ს. ფირცხალავა—ისტორიული ამბები.

კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტი

მკითხველი იხილავს ქვევით კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტს, საქართველოს ეროვნულ ცენტრის მიერ შემუშავებულს პარიზში. ეს პირველი ცდაა, თუ არა ვცდებით, კავკასიის ოთხივე ერის სახელმწიფოებრივ კავშირის იურიდიულ ფორმებში ჩამოსხმისა და, როგორც ასეთი, შეიძლება უნაკლულოც არ იყოს, მაგრამ დროული რომ არის, ვერავინ უარყოფს.

კავკასიის ერებმა კიდევ თავისუფლების რიჟრაჟზე იგრძნეს შეკავშირების და თანამშრომლობის საჭიროება. ამას ხელს უწყობდა, ერთის მხრით, კავკასიის გეოგრაფიული, ეკონომიური და აქედან პოლიტიკური მთლიანობა და, მეორეს მხრით, ერთ საუკუნეზე მეტი რუსეთის მფლობელობის ქვეშ ყოფნა, რომელსაც ბევრ უარყოფით მხარესთან ერთათ არ შეეძლო არ გამოეწვია მცხოვრებთა დაახლოება ყოველდღიურ საქმიანობის ნიადაგზედ.

ამის და მიხედვით პირველი თავისუფალი მმართველობა, ძველი რეჟიმის დამხობის შემდეგ, საერთო იყო ამიერ-კავკასიისათვის განსაკუთრებული კომიტეტის სახით (ოზაკომ). რუსეთის დროებითმა მთავრობამ არ მოისურვა—როგორც შემდეგ ბოლშევიკებმა—მთიელთა გაერთიანება დანარჩენ სამ ერთან, თუმცა ისინი არ უშვებდენ არც ერთ შემთხვევას ერთმანეთისთვის ხელი გაეწდვინათ.

როცა ბოლშევიკებმა მოიკალათეს რუსეთში, ამიერ-კავკასია ჯერ ფაქტიურათ, შემდეგ ფორმალურათ გამოეყო რუსეთს, და მაშინ—ფრიად საყურადღებოა—არავის მოსვლია თავში თვითეულ ერის დამოუკიდებლობის გამოცხადება, არამედ სამი ერი საერთო ხელისუფლების ქვეშ მოექცა სეიმის და მთავრობის სახით. მაშინვე შესდგა მთავრობასთან კომისია, რომელსაც კავკასიის ფედერაციის კონსტიტუციის შედგენა დაევალა, და ამაში მთიელებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

მაგრამ ეს სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ხანგრძლივი არ გამოდგა, იგი ჩქარა დაშალა გარედან მობერილმა ორმაგმა ქარიშხალმა, და თვითეულმა ერმა თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. შემდეგაც არა ერთხელ უცდიათ დარღვეულ კავშირის აღდგენა თავისუფალ ერთა შორის, მაგრამ ამაოთ, მდგომარეობა ერთობ რთული იყო, გარეშე გავლენა კიდევ ერთობ ძლიერი ამისათვის.

და ოთხივე ერი ამ მოუწყობლობის მსხვერპლი გახდა, როგორც ვიცით. ისინი ჩაიჭრენ არაჩვეულებრივ ეპოქის მიერ წარმოშობილ ისტორიულ გამოცდაზედ და სათითაოთ დაჰკარგეს დამოუკიდებლობა.

საუბედუროთ, მარტო გარეშე გარემოებათ ვერ მივაწერთ მათ ჩაჭრას, ერნი და მათი მესვეურნი ვერ მიუხვდენ ეპოქის მოთხოვნილებას, ვერ გამონახეს საერთო ენა, პირიქით, უნდობლობა, ქიშპობა და ხშირათ აშკარა მტრობაც წესად იქცა მათ შორის. ამ სურათის მოწმე უცხოელთ იმედიცკი დაეკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათ, რომ კავკასიის ერები შეძლებდენ ოდესმე კეთილმეზობლობას და ერთ ჭერის ქვეშ მშვიდობიან ცხოვრებას. ზოგიერთი უფრო შორსაც მიდიოდა და აცხადებდა, კავკასიის დაზავება და ერთა ნორმალური განწყობილება შეუძლებელია, თუ რომელიმე ძლიერმა სახელმწიფომ არ იკისრა ეს როლი!

და ეს კიდეც მოხდა ბოლშევიკურ რუსეთის მეოხებით: სამარის სიჩუმე ჩამოაგდო, გაათანასწორა ერნი და ცალკე პირნი უუფლებობაში, სიღატაკეში, მონობაში. ამიერ-კავკასიას «ფედერაციაც» კი უწყალობა მან, რომლითაც გააუქმა ცალკე ერთა დამოუკიდებლობა და დღეს მისი მოხელენი განაგებენ ყველასი და თვითეულის ბედს.

აი ამ შეუფერებელ და გაზვიადებულ ლეგენდას, ვითომ კავკასიას ერთ არ უწერიათ მეგობრული განწყობილება, ჩვენ უნდა დავუპირდაპიროთ მათი საერთო ფრონტი. იგი უკვე არსებობს ადგილზედ—ბრძოლის ფრონტი. კავკასიის ერნი ერთათ და ცალ-ცალკე ეწევიან განმათავისუფლებელ ბრძოლას ჩრდილოეთიდან მოვლენილ საშინელ მტერთან, ისინი ძმობილდებიან თვით ბრძოლის ველზედ, მათ მიერ დაღვრილი სისხლი ცალკე ნაკადულებიდან ერთ დიდ მდინარედ ქცეულა და საბოლოო საზღვრებს ავლებს კავკასიასა და რუსეთს შორის.

ძმობა ბრძოლაში მოითხოვს ძმობას თავისუფლებაში. პირველია საშუალება, მეორე კი მიზანი. შეუძლებელია თავდადება, თუ მას არ ასულდგმულებს იდეალი. კავკასიის ერებს—საქართველოს, აზერბეიჯანს, სომხეთს, მთას—აქვთ იდეალი: დამოუკიდებლობა და კავშირი ურთიერთ შორის.

ამ იდეალით გამსჭვალულნი კავკასიის ოთხივე ერის კანონიერი წარმომადგენელნი კიდევ ივნისში 1921 წ. აწერენ ხელს საერთო დეკლარაციას. რომელიც აღიარებს კავშირის აუცილებლობას სამხედრო, საბაჟო და დიპლომატიურ სფეროში, საზღვრების დავის სავალდებულო არბიტრაჟისთვის გადაცემით. კიდევ უფრო გადაჭრით აღიარებენ იგივე წარმომადგენელნი კავკასიის ეკონომიურ და პოლიტიკურ მთლიანობას მეორე დეკლარაციაში სექტემბერს 1924 წ., ქართველ ერის აჯანყების მეორე დღეს.

იმავე წლის ნოემბერს საქართველოს, აზერბეიჯანის და მთის წარმომადგენელნი, გრძნობენ რა საჭიროებას ამ ურთიერთობას თვისი სახელი დაერქვას, იღებენ კონფედერაციას, როგორც იურიდიულ ფორმას კავკასიის ერთა კავშირისა მომავალში. მათ იკისრეს იმავე დროს კონსტიტუციის ან მისი მთავარ დებულებათა პროექტის შედგენა კიდევ უცხოეთში. სომხეთის წარმომადგენელნი ამა თუ იმ მოსაზრებით არ მიეკედლენ ამ გადაწყვეტილებას, თუმცა, ცხადია, მათი ერი უფრო არის დაინტერესებული და უფრო მეტის ხალისით შევა კონფედერაციაში, ვინემ რომელიმე მისი მეზობელი.

ამ რიგათ, ქვევით მოთავსებული პროექტი მხოლოდ განაღდებაა რვა წლის აღებულ ვალდებულებისა. შევეხოთ გაკვრით ზოგიერთ მის დამახასიათებელ მხარეს, რადგან საფუძვლიანი განხილვა თვითეულ მუხლისა მოთავსდება გაზეთის შემდეგ ნომრებში. აქვე დავსძენთ, რომ ჩვენ სიამოვნებით მოვათავსებთ მკითხველის წერილებსაც იმავე საგანზე. განსაკუთრებით საქართველოდან.

რატომ კონფედერაცია და არა ფედერაცია იქნა არჩეული, როგორც 1918 წ., კავკასიის კავშირის გამომხატველად? იმიტომ რომ სახელმწიფო უზენაესობის მატარებლად ისევ ცალკე ერები რჩებიან და, თუ მაინც თმობენ ისინი რამეს ამ მხრივ, ეს იმდენათ, რამდენათ ამას მათი საერთო ინტერესები მოითხოვს. უბრალო შემთხვევას არ მიეწერება ამიტომ, რომ თვით პროექტს პაქტი დაერქვა და ამით ის თითქო ერთა ლიგას გვაგონებს თავისი მუდმივი სამდივნოთი და სახელმწიფოთა საბჭოთი. მაგრამ ეს მზგავსება უფრო გარეგნულია, ვინემ შინაარსის მხრივ.

კავკასია წარმოადგენს უცხო სახელმწიფოთა მიმართ მთლიან პოლიტიკურ და ეკონომიურ ერთეულს, კონფედერაციის დანიშნულებაა ამ ერთეულის დაცვა გარედან, აქედან მისი კომპეტენციაც ისეთია, როგორიც გამომდინარეობს უცხოეთთან დამოკიდებულებისაგან. საერთო საბაჟო საზღვრები, თავდაცვა, დიპლომატია—აი, მაშასადამე, ის სამი დარგი, რომელიც მას ენდობა.

კონფედერაციას არა აქვს საერთო პარლამენტი, რადგან ის არა სცემს კანონებს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. სახელმწიფოთა საბჭო უფრო აღმასრულებელი ორგანოა, ვინემ საკანონმდებლო; მასში შემავალი თვითეული ეროვნული დელეგაცია ასრულებს მის გამომგზავნ მთავრობის დირექტივებს და, თუ ოთხივე დელეგაციამ რამე ახალი ზომა მოითათბირა თავის თაოსნობით, მაშინაც უკანასკნელი სიტყვა იმავე მთავრობათ ეკუთვნის. რათა ბოლომდის დაცულ იქნას, ერთა უზენაესობა, მაიორიზაციას ადგილი არა აქვს სახელმწიფოთა საბჭოში თვითეული დადგენილება მიღებულ უნდა იქნას ერთხმათ.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კონფედერაციის მუდმივ სამდივნოს. ის არის თავისი სამი ბიუროთი—საგარეო საქმეების, ფინანსების, თავდაცვის—ნამდვილი ლაბორატორია, სადაც სწავლობენ და ამზადებენ გეგმებს დასახელებულ სამ დარგში. იმავე დროს სამდივნო არის ცოცხალი კავშირი ოთხივე ერის და მათი სახელმწიფო დაწესებულებების.

ნუ დაივიწყებთ, სახელმწიფოთა საბჭოს დადგენილებები, თუმცა მათი სისრულეში მოყვანა, რამდენად შინაურ განწყობილებას ეხებიან, ცალკე სახელმწიფოთა ორგანოებს ენდობა, მაგრამ გადამცემი ინსტანცია და ინსტრუქციების მიმცემი იგივე მუდმივი სამდივნოა. ის ხდება, ასე ვსთქვათ, კონფედერაციის საქმიანობის ცენტრად და მისი რეზიდენცია პირველი ჩანასახია კავკასიის კონფედერაციის დედაქალაქისა.

კონფედერაციას აქვს მესამე მნიშვნელოვანი ორგანოც—ფედერალური სამსაჯულო. კონფედერაციისა და ცალკე სახელმწიფოთა ორგანოებ შორის, აგრეთვე თვით სახელმწიფოთა შორის ყოველთვის შესაძლებელია დავა ამა თუ იმ კითხვაზე. ფედერალური სამსაჯულო ვალდებულია დავა განიხილოს და დასდოს თავისი პირუთვნელი მსჯავრი, ამისათვის მსაჯულნი უცვლელნი არიან სიცოცხლეში.

ჩვენ დაგვრჩა ორიოდე სიტყვით შევეხოთ კონფედერაციის პრეზიდენტს და დიპლომატიურ წარმომადგენლობას შინ და გარეთ. თავის თავათ ლოგიკურია, თუ კავკასიის კონფედერაცია მთლიან ერთეულს წარმოადგენს გარეთ, მას უნდა ჰყავდეს თავისი მეთაურიც ანუ პრეზიდენტი. ეს მეთაურობა მოუწევს სახელმწიფოთა საბჭოს თავმჯდომარეს, არჩეულს ერთი წლით და მორიგობით თვითეულ ერის დელეგაციიდან.

საგულისხმიეროა სახელმწიფოთა საბჭოს უფლება დანიშნოს ელჩები უცხო სახელმწიფოთა კარზედ და მიიღოს მათგან ელჩები. პროექტის თანახმათ ცალკე სახელმწიფოს სრულიად ერთმევა ეს უფლება და მით თითქო ჰკარგავს საერთაშორისო სუბიექტის უფლებას. ეს ისეთი მსხვერპლია, რომელიც გულისხმობს, ერთის მხრით, ყოველგვარ უნდობლობის ძირიან-ფესვიანათ ამოგდებას კავკასიის ერთა შორის და, მეორეს მხრით, სრულიად ურეზერვო განთავისუფლებას გარეშე გავლენათაგან.

ჩვენი მხურვალე და გულწრფელი სურვილია, რომ ეს ახდეს. დეე, წარსული მწარე გაკვეთილები ამის თავდებად იქცეს.

უნდა აღვნიშნოთ დასასრულ, რომ მთელი ეს პროექტი ძალაში შევა მისი რატიფიკაციის შემდეგ ოთხივე ერის სრულუფლებიან ორგანოს მიერ. მაშასადამე, ეს მოხდება, როცა თვით ერნი განთავისუფლდებიან უცხოეთის ბატონობისაგან და საშუალება მიეცემათ მოიწვიონ თვითეულმა თავისი პარლამენტი.

იმ დროს, როცა მთელი კავკასია ბრძოლის ველად ქცეულა, განსაკუთრებით დროულია მებრძოლ ერთათვის გარკვევით იცოდენ, რისთვის იბრძვიან, რა აწერია მათ დროშაზედ და ამ მხრივ კონფედერაციის პაქტის პროექტს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

მეორეს მხრით უცხოეთში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, უაღრესათ საჭიროა გვქონდეს საშუალება სასტიკათ შევებრძოლოთ მტრისა და რუს ემიგრაციის მიერ გავრცელებულ ჭორებს კავკასიის ერთა ურთიერთ შუღლზე და დავუმტკიცოთ უცხოეთის სახელმწიფო მოღვაწეთ სრულიად წინაამდეგი: მათი მისწრაფება დამოუკიდებლობისა და კონფედერაციისადმი.

კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტი

კავკასიის რესპუბლიკები: სომხეთი, ადერბეიჯანი, ჩრდილო კავკასია და საქართველო—გასმჭვალულნი იმის სურვილით, რომ განამტკიცონ თავიანთი დამოუკიდებლობა, ემსახურონ მშვიდობიანობას და წარმატონ საერთო კეთილდღეობა,—სდებენ ურთერთს შორის კავკასიის კონფედერაციის ამა პაქტს.

ა) სახელოთა განაწილება.

1 მუხლი. სახელმწიფოებს წევრებს შენარჩუნებული აქვთ თავიანთი სუვერენობა სრულად და მთლიანად და განახორციელებენ ყველა უფლებას, რომელიც გარკვევით და გამორიცხვითი წესით არაა გადაცემული საკონფედერაციო ძალაუფლების ორგანოებისთვის.

2 მუხლი. მხოლოდ კონფედერაციას აქვს უფლება გამოაცხადოს ომი, შეკრას კავშირები და დასდვას სამშვიდობო და საბაჟო ხელშეკრულობანი.

3 მუხლი. კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოებს აკრძალული აქვთ შეკრან ერთმანეთს შორის ყოველი კავშირი და ყოველი პოლიტიკური ხელშეკრულობა.

4 მუხლი. მხოლოდ კონფედერაციას ეკუთვნის ლეგაციის უფლება.

5 მუხლი. კონფედერაციას აქვს ერთი საბაჟო საზღვარი.

6 მუხლი. კონფედერაციის სახსრები შესდგება წევრ-სახელმწიფოების დაწესებულ გადასახადისაგან.

7 მუხლი. კონფედერაციას არა ჰყავს საკუთარი ჯარი, ხოლო ეყოლება მთავარი შტაბი. საგარეო საფრთხის დროს და სახელმწიფოთა საბჭოს მოთხოვნით, თითოეული სახელმწიფო მოვალეა გადასცეს საკონფედერაციო ხელისუფლების განკარგულებაში განსაზღვრული რაოდენობა ჯარისა. შეერთებულ ჯარებს ხელმძღვანელობს სახელმწიფოთა საბჭოს დანიშნული მთავარსარდალი.

შენიშვნა: განსაკუთრებული სამხედრო შეთანხმება განსაზღვრავს თითოეული სახელმწიფოს ჯარის რაოდენობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 მუხლი. კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოებს აკრძალული აქვთ ერთმანეთში ომი. ყოველი დავა, რომელიც შეიძლება ჩამოვარდეს მათ შორის, უნდა გადაიჭრას ან საკონფედერაციო სასამართლოს ან სავალდებულო არბიტრაჟის მიერ.

ბ) კონფედერაციის ორგანოები.

9 მუხლი. კონფედერაციის ორგანოებია:
ა) სახელმწიფოთა საბჭო.
ბ) მუდმივი სამდივნო.
გ) საკონფედერაციო სასამართლო.

10 მუხლი. საკონფედერაციო ხელისუფლება და ყოველი მისი დაწესებულება მოთავსდება კონფედერაციის დედა-ქალაქში.

11 მუხლი. სახელმწიფოთა საბჭო.
1. სახელმწიფოთა საბჭო შესდგება კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა თითოეულ მთავრობის სამ-სამი დელეგატისაგან.
2. სახელმწიფოთა საბჭოში თითო წლით, მორიგეობით, თავმჯდომარეობს კონფედერაციაში შესულ თითოეულ სახელმწიფოს დელეგატი.
3. სახელმწიფოთა საბჭო იკრიბება განსაზღვრულ ვადებში და აგრეთვე როცა გარემოება ამას მოითხოვს. თითოეულს სახელმწიფოს შეუძლია მოსთხოვოს კონფედერაციის მთავარს მდივანს სახელმწიფოთა საბჭოს მოწვევა არაჩვეულებრივ კრებისთვის. მთავარი მდივანი ვალდებულია ამ მოთხოვნას მსვლელობა მისცეს.
4. სახელმწიფოთა საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ერთხმად. საბჭოს გარდაწყვეტილება, კონფედერაციის ძალაუფლების სახელოს საქმისთვის მიღებული, სავალდებულოა კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოებისთვის.
5. სახელმწიფოთა საბჭო განიხილავს საქმეთ, რომელნიც ამა პაქტის ძალით ეკუთვნიან საკონფედერაციო ძალაუფლების სახელოს. სახელდობრ მას ეკისრება შემდეგი საქმეები:
ა) კავშირების შეკვრა, სამშვიდობო და საბაჟო ხელშეკრულობათა დადება;
ბ) ომის გამოცხადება;
გ) დამოკიდებულება უცხოეთთან; ელჩების გაგზავნა და მათი მიღება;
დ) დანიშვნა მთავარსარდლისა საკონფედერაციო ჯარისთვის ომის დროს და კონფედერაციის მთავარ მდივნისა;
ე) კონფედერაციის ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

12 მუხლი. მუდმივი სამდივნო.
1. მუდმივ სამდივნოს შეადგენენ მთავარი მდივანი და სამი მისი თანაშემწე მდივანი, რომლებიც ხელმძღვანელობენ სამს ტექნიკურ ბიუროს: საგარეო საქმეების, ფინანსების და სახელმწიფო თავდაცვის.
2. მთავარს მდივანს ირჩევს სახელმწიფოთა საბჭო. თანაშემწე მდივნებს ნიშნავს მთავარი მდივანი სახელმწიფოთა საბჭოს დასტურით.
3. მთავარი მდივნის მოვალეობაა შემდეგი:
ა) უზრუნველ ჰყოფს კავშირს კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა და საკონფედერაციო ხელისუფლებას შორის;
ბ) განაგებს კონფედერაციის საქმეთ და და ასრულებს მიმდინარე საქმეებს;
გ) შეადგენს და წარუდგენს სახელმწიფოთა საბჭოს კონფედერაციის ხარჯთაღრიცხვის პროექტს;
დ) წარუდგენს სახელმწიფოთა საბჭოს ყოველწლიურ მოხსენებას საკონფედერაციო საქმეთა მსვლელობის და გასული წლის ხარჯთაღრიცხვის შესრულების შესახებ.

13 მუხლი. საკონფედერაციო სასამართლო.
1. საკონფედერაციო სასამართლო შესდგება თორმეტი წევრისაგან, რომელთაც ნიშნავენ მთელი სიცოცხლით პარლამენტები—თითოეულ სახელმწიფოსი სამ-სამს.
2. საკონფედერაციო სასამართლო განიხილავს:
ყოველს დავას საკონფედერაციო ხელისუფლებასა და კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა შორის და აგრეთვე ამ სახელმწიფოთა დავას ერთმანეთს შორის.
3. საკონფედერაციო სასამართლოს დადგენილება სავალდებულოა საკონფედერაციო ხელისუფლებისა და კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოებისთვის.

გ. საზეგადო დებულებანი.

14 მუხლი. სახელმწიფოთა საბჭოს გადაწყვეტილების შესრულება გადაეცემა კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოებს.

15 მუხლი. განსაკუთრებული შეთანხმებანი იქნება შემუშავებული შემდეგი საგნებისთვის:
1. ფულის გაერთიანების,
2. რკინის გზების გაერთიანების,
3. ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის გაერთიანების,
4. საწონისა და საზომისათვის.

16 მუხლი. ამა პაქტის არც ერთი მუხლი არ შეიძლება შეიცვალოს, თუ ეს არ იქმნა მიღებული ერთხმად სახელმწიფოთა საბჭოს მიერ და დამტკიცებული კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოების საკანონმდებლო დაწესებულებების მიერ.

17 მუხლი. ეს პაქტი შევა ძალაში დღიდან მისი დამტკიცებისა კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოების მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი დღე

25 თებერვალი არის საქართველოს შავი დღე. ამ დღეს თითქოს გაითხარა საფლავი, სადაც მტრები სამუდამოთ დასაფლავებას უპირებდენ საქართველოს თავისუფლებას. ამ დღეს შემოიჭრენ ჩვენს დედა-ქალაქში რუსის ურდოები, რომელთაც უკან მოსდევდენ ქართველი ერის რამდენიმე უკანონო შვილები, სამშობლოსა და ხალხის მოღალატენი მახარაძეები, ორჯონიკიძეები, ორახელაშვილები და სხვები მათი მსგავსნი.

ეს დღე, რომელიც არის ქართველი ერის გლოვის დღე, აგერ უკვე 11 წელია გახდა საოკუპაციო ხელისუფლების საზეიმო და სადღესასწაულო დღეთ და რაც ყველაზე უფრო უმკაცრესია და გაუგონარი ცინიზმი—მტერს სურს ძონძებში გახვეულ ქართველ სალხსაც აუქმებიოს და ადღესასწაულოს ეს დღე—დღე მისი გლოვისა.—და აი, ამ საბედისწერო დღიდან—როცა თბილისს სტოვებს ქართველი ჯარი—იწყება ტანჯვა, აუტანელი ვაება ქართველი ხალხის განურჩევლად კლასისა, განიავება მისი მატერიალური ქონების, დაზიანება და დასუსტება მისი ფიზიკური არსებობის, შელახვა მისი კულტურის, მისი მორალური ცხოვრების, მოსპობა მისი ყოველგვარ თავისუფლებისა და თვითმოქმედების.

მიუხედავათ იმ ჯოჯოხეთურ პირობებისა, რომელშიდაც ის ჩააყენა მტერმა და რომლის მსგავსი მას არ მოსწრებია ისტორიაში,—ქართველი ერი მაინც იბრძვის, იბრძვის განუწყვეტლივ, ყოველნაირ საშუალებით და საუბედუროთ ამ უსწორო ბრძოლაში სწირავს თავის საუკეთესო შვილების მრავალ სიცოცხლეს და თავისუფლებას.

მტერი ხარობს, მაგრამ ქართველი ერი იმედს არ კარგავს. მთელი განათლებული და მოწინავე კაცობრიობის თანაგრძნობა და სინდისი მის მხარეზეა, ისტორიულ აუცილებლობას ემყარება ის. მაგრამ ჯერ კიდევ ეგებ ვერ დაკრას გამარჯვების ზარმა და საჭიროა მოთმინება, დარაზმვა და გმირული თავშეკავება, დაზოგვა ეროვნული ძალის, სანამ არ მოახლოვებულა საათი... ვემზადოთ და ვიცხოვროთ მომავლის იმედით. გავიმაგროთ გული! ვ. ჰიუგო—ეს დიდი ლტოლვილი—ეუბნებოდა 1852 ში პოლონელებს, რომელნიც ჩვენს მდგომარეობაში იყვნენ იმ დროს: «სიცოცხლე უნდა აღვიაროთ და გამოვაჩინოთ სწორედ მაშინ, როცა გვგონია, რომ კუბოს ფიცარს დაჭედას უპირებენ». ილია ჭავჭავაძე კი გვასწავლიდა: «მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ბურთს და მოედანს»ო!

ბარბაროსობა მუდამ არ ინავარდებს. რუსეთი მუდამ ბატონობას ვერ შესძლებს. ჩვენ ვიცით, თუ რა მოელის დამპყრობელს, ტირანიას. ვიცით, თუ როგორ განთავისუფლდენ და თავისუფლდებიან ერები. ერი არ კვდება, თუ მას ეს არ სურს, თუ მას აბადია ნების ყოფა, თუ მას გააჩნია ბრძოლის უნარი. ქართველი ერის ხანგრძლივი ისტორია, კი ამტკიცებს, რომ ამ თვისებებს ის მოკლებული არ არის. ამბობს იგივე ჰიუგო: «როცა ტირანები ადებენ ერს საფლავის ქვას, რას სჩადიან ამით? მათ გონიათ, რომ დამარხეს ერი, მარა მარხავენ კი იდეას. საფლავი კი არას წარმოადგენს მისთვის, რაც არ კვდება, და იდეა ხომ უკვდავია». საქართველო გახდა დამოუკიდებლობის იდეა და სიმბოლო; ვერავითარი უხეში ძალა მას ვერ ჩაკლავს! «დესპოტები კვდებიან, ერები კი არსებობას განაგრძობენ».

საჭიროა მოთმინება, თავის შენახვა... ბნელი ღამე მუდამ არ იმეფებს... ერთმა მწერალმა სთქვა: «ნუ გაქვთ ეჭვი გამოდარების, როცა ქარიშხალი მძაფრია, ნუ უარყოფთ გათენებას, როცა ღამეა».

25 თებერვალი გაქრება. 26 მაისის ბრწინვალე დღე ხელახლა გათენდება და თავისუფალი ქართველი ერი დიდ გუნდათ ქცეული ერთხმათ მიესალმება განთიადს «დიდების» მძლავრი გუგუნით!..

ანჟანი.

გოეთეს წელიწადი

ასე მონათლა გერმანელმა ხალხმა მიმდინარე წელიწადი. 22 მარტს 1932 წელს სრულდება ასი წელიწადი დიდი ვაიმარელის გარდაცვალებიდან.

დიდი ხახია უკვე მთელი გერმანია დიდი მონდომებით ემზადება ამ დღის,—ამ წელიწადის ღირსეულად შესახვედრათ,—ეს დღე ხომ მართლა ეროვნული დღესასწაულია, ეს წელიწადი ხომ მისი წინსვლის, მისი კულტურის სიმბოლოა. და მთელა ერი, მიუხედავად საშინელ ეკონომიურ გაჭირვების და პოლიტიკურ დაქსაქსვისა, ერთსულოვანია ამ ადამიანის დაფასებაში, რომლის შემოქმედებამ გერმანულ ლიტერატურას მსოფლიო მნიშვნელობა მოუპოვა, და ამიტომ სურვილი აქვს განსაკუთრებული თავისი გრძნობები წრფელ ფორმებში გამოხატოს.

და ის გზებს ეძებს ამ ფორმებისათვის.

საინტერესოა ის აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ამ წლის დასაწყისის წინ რომ უძღოდა ყოველკვირეულ ლიტერატურულ ჟურნალში «დი ლიტ. ველტ.».

ამ ჟურნალმა დაბეჭდა წერილი სათაურით: «ვიდღესასწაულოთ თუ არა გოეთეს წელიწადი?!» და დაუგზავნა საპასუხოდ ცნობილ მწერლებს და მეცნიერებს.

რას სწერდა ჟურნალი? დიდი უმრავლესობა გერმანელ ხალხისა კითხვაზე: როგორ უნდა ვიდღესასწაულოთ გოეთეს წელიწადი...—კითხითვე უპასუხებდა: «ნუ თუ, ბატონებო, თქვენ სხვა საზრუნავი არ გაქვთ?!».

გოეთეს მემკვიდრეობა დღეს—სულ პატარა გამონაკლისით—გაფლანგულია. რაც იყო სათქმელი ჩვენ დიდ მწერალზე, უკვე ითქვა,—ახალს ვერავინ იტყვის, რადგან აღარ არის მართლა ცხოველი დამოკიდებულება მის შემოქმედებასა და გერმანელ ხალხის დღევანდელ შეგნებას შორის.

ჩვენ, ჩვენს გაჭირვებაში, შეგვიძლია თამამად უარი ვთქვათ რამოდენიმე ათეულ ახალ გოეთე-ბიოგრაფია და გოეთე-კომენტარზე, რადგან ყველაფერი ან განმეორება იქნება, ან უმნიშვნელო ფრაზა. და ვინც ჭეშმარიტ პატივსა სცემს დიდ ვაიმარელის მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიურ ფიგურას, ვისაც ესმის იგი (და ასეთები ცოტანი არიან), მან უარი სთქვას საზეიმო სიტვაზე,—ფრაზაზე.

რას უნდა ველოდეთ, აბა, ჩვენ თუ არა ფრაზას, ყალბ სიტყვას?! ახალგაზდობა, სკოლა!.. სკოლამ დაამახინჯა გოეთე: მან უარჰყო მისი კოსმოპოლიტიზმი, ჰუმანიზმი, მისი გატაცება ბერძნულ ანტიკით, მისი პატრიარქალური კვიეტიზმი. რას მოგვცემენ ჩვენ გოეთეს დღეები სკოლებში, თუ არა ყალბ ფრაზას და ნაძალადევ ინტერპრეტაციას?

რა არის, თუ არა ყალბი სიტყვა გოეთეს «ზედროულად» გამოცხადება და ამით ვითომდა მისი «ხსნის» ცდა,—გოეთეს, რომელიც ასე დაკავშირებულია მიწასთან, სიცოცხლესთან, მის თბილად მსუნთქავ ტანთან, რომელიც მუდმივ ორგანიულ ზრდაშია?!..

მხოლოდ ადამიანურმა გოეთეში შექნა ზეადამიანური, მხოლოდ დროულმა აღამაღლა ის ზედროულამდე.

ამიტომ სიჩუმით ჩაუაროთ ჩვენ გოეთეს წელიწადს!.. სიჩუმე გვმართებს, სრული სიჩუმე და განსაკუთრებით იმათ—და ასეთები ცოტანი არიან—ვისაც საზოგადოდ უთლება აქვს და ლეგიტიმაცია გოეთეზე ილაპარაკოს. გოეთეს ხსენებას არ ესაჭიროება დღესასწაულები: მრავალ თაობას გაისტუმრებს ისედაც ვაიმარელი.

ბევრმა გასცა პასუხი ჟურნალს. მოვიყვან რამოდენიმეს, უფრო საინტერესოს.

ი. ვასერმანი. ასეთი უნივერსალური ფიგურის, როგორიც გოეთეა, დღესასწაული ნიშნავს მისი ენით, რომელიც უნივერსალურია, ერთმანეთის გაგებას. ეს იმას ნიშნავს, რომ გენება და ჰუმანიზმი, ვიცნოთ ჩვენ ცხოვრების კათეგორიებათ. ამის მაგივრად იქნება სიტყვები—ეს გამხმარნი ფოთოლნი ჩვენი არსებობის უდაბნოისა, რომელთაც გაფანტავს საშინელი ქარი სიძულვილის, შიშისა და საუკუნო განსასვენებლად ერთ ადგილს მიუჩენს—გაზეთის ქაღალდზე. არის განა საჭირო მღვდელმსახურება იმ ქვეყანაში, რომლსაც ღმერთი არ უნდა?

აქ უგულო ვედრება იქცევა ტანჯვად, ქება-დიდება-სიცრუედ. სიჩუმეს ითხოვს ვასერმანიც. ერთა ლიგას, ამბოს ის, უნდა ჰყავდეს ხელოვნებისა და მეცნიერების მცველი, რომელიც ასეთ შემთხვევებში დეკრეტებს უნდა სცემდეს: სიჩუმე! გოეთეს შეუძლია ცდა, მას აქვს დრო!

ემილ ლუდვიგი, რომელსაც ორტომიანი შრომა აქვს გოეთეზე გამოქვეყნებული, წინადადებას იძლევა გამოქვეყნდეს ნარჩევი აზრები გოეთეს გერმანელ ხალხზე: გაზეთებში, უნივერსიტეტებში, სკოლებში, პარლამენტებში, საზოგადოებებში. ამით უფრო მეტს ისწავლის და შეიგნებს გერმანელი, ვიდრე სადღესასწაულო სიტყვებით, რომლებშიდაც მან, ასი წლის გაუგებრობის შემდეგ, თავისი თავი უნდა ნახოს.

ტომას მანი. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ არ შემიძლია სერიოზულად მივიღო თქვენი წინადადება. მთელი კაცობრიობის სურვილია ღირსეულად შეხვდეს ამ დღესასწაულს: საფრ. თეატრი სდგამს «ფაუსტს», კოლუმბია—უნივერსიტეტი ნიუიორკში იწვევს ჰაუტმანს პირველ საზეიმო სიტყვისათვის, მწერლობის და ხელოვნ. მუდმ. კომისია ერთა ლიგასთან არსებული ნიშნავს თავის სხდომებს გაზაფხულზე ფრანკფურტში და პირველი სხდომა გოეთეს სახსოვარია.—გერმანია კი უნდა გაჩუმდეს?!..

კითხვა-პასუხი, რომელიც თქვენ გერმანელ ხალხს პირში ჩაუდევით, ეწინააღმდეგება თქვენსავე შეხედულებას ეთიკაზე, ხელოვნებაზე, ფსიქოლოგიაზე. არავითარი სხვა საზრუნავი?!.. რასაკვირველი, ყოველ ერს აქვს საზრუნავი. გერმანელ ხალხსაც აქვს, ჰქონდა და ექნება საზრუნავი—სხვა საზრუნავიც. გარდა ეკონომიურისა. მე დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიის უმთავრესი საზრუნავი ის არის, რაც ვაიმარელს ასე აწვალებდა: კულტურა თუ ბარბაროსობა! აქ მოცემულია უკვე ის თვალსაზრისი, რომლითაც ჩვენ მომავალ დღესასწაულს უნდა შევხდეთ.

კმარა, მე სიჩუმის წინააღმდეგი ვარ. მართალია, ბევრ სისულელეს გავიგონებთ, ბევრ ცარიელ ფრაზებს მოვისმენთ და უხეშ, ტენდენციურ სტილიზაციას;—პრეტენზიებსაც დიდი ადგილი ექნება, ზევიდან ქვევით ლაპარაკს და მანჭვა-გრეხას. და მიუხედავათ ამისა, ხელთ რომ ძალა-უფლება მქონდეს, არც ერთ გერმანელს არ დავუშლიდი, გოეთეზე რამდენიმე კვირა ელაპარაკა.

ვილჰელმ შეფერი. არ გვაქვს ჩვენ ბედი გოეთესთან ერთად. როდესაც 1849 წლის აგვისტოში მის დაბადების ასი წლის თავზე მზათ ვიყავით დღესასწაულის ღარსეულად გადახდისათვის, პავლეს ეკლესიის სიზმარი უკვე ნაამბობი იყო,—გათავებული (ნაგულისხმევია 1848 წლის რევოლიუციის დამარცხება). გერმანიას მაშინ სხვა საზრუნავი ჰქონდა. დღეს 1932 წელს, მის გარდაცვალებიდან 100 წლის თავზე მოსალოდნელია კიდევ ერთი ზღაპარი გათავდეს.... სწორედ ამიტომ არ უნდა გავჩუმდეთ 22 მარტს, 1932 წელს! ახირებულია,—როგორ?! — ერთხელ და სამუდამოდ მოვსპოთ გერმანული აზრი?!..

პროფ. კიზარცი. გოეთე დედა-მიწაა და თესლი,—მზე და წვიმა. ყოველი ჩვენგანი ამ მიწის-მუშაა და არა ლიტერატურის ისტორიის მღვდელთ-მსახური. გოეთე მთელი თავისი არსებით ჩაწნულია თანამედროებაში. ვაიმარელი—ეს უდიდესი ლირიკოსი ლი-ტაი-პეს შემდეგ-მასთან ხომ უდიდესი მასწავლებელია და აღმზრდელი გერმანელი ხალხის. ისიც ხომ ეჭვს გარეშეა, რომ გოეთემ, მეტად ვიდრე სხვა რომელიმემ, იმუშავა ერთა შორის ზავისა და კეთილ განწყობილების დამყარებისათვის.

გოეთეს დღესასწაული უნდა გადაიქცეს ზავის, ერთა შორის გულითად დამოკიდებულების დღესასწაულად.

მისი გერმანული ჰუმანიზმი ნიადაგს უმზადებს ჰუმანურ გერმანიას, რომელიც ევროპის გულია და ხიდი.... და გერმანელი ხალხი თავისი დიდ უმრავლესობით სწორედ უკანასკნელების აზრს იზიარებს და ემზადება დიდ დღესასწაულის ღირსეულად გადასახდელად, რადგან მან იცის, რადგან ის გრძობს, რომ გოეთეს დღესასწაული ეს გერმანულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურის დღესასწაული, მისი წელიწადი ამ კულტურისათვის ბრძოლის ქება-დიდება, მისი ზნეობრივი შინაარსის დადასტურებაა.

1932 წელი საბედისწეროა გერმანიისათვის:—ის ან გაიმარჯვებს, როგორც გოეთეს სამშობლო, ან უფსკრულში გადაიჩეხება,—ჰიტლერის ფეხის ამყოლი.

გამარჯვება გენიეას, ჰუმანზიმს უნდა დარჩეს!

მ.—ანი.

ქართული წარმოდგენა პარიზში

ღალატი.—ა. სუმბათაშვილის დრამა 5 მოქმ.

7 თებერვალს ქართულ სცენის მოყვარულთა წრემ, რომელიც რამდენიმე თვეა გაჩნდა ემიგრაციაში, გამართა ტრისტან ბერნარის თეატრში ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნა ალ. სუმბათაშვილის ცნობილი დრამა «ღალატი».

წარმოდგენის დაწყებამდე მოყვარულთა წრის სახელით მისმა დამაარსებულმა და რეჟისორმა მოიბოდიშა, ქართულ პიესების უქონლობის გამო იძულებული გავხდით ის წარმოგვედგინა, რაც ხელთ გვქონდა, და ეს იყო მიზეზი, რომ ასეთს ძნელად დასადგმელ პიესას მოვკიდეთ ხელიო.

ბოდიში ზედმეტი იყო; თვით პიესის არჩევანიც და მისი ინტერპრეტაციაც იმდენად კარგი გამოდგა, რომ დამსწრე საზოგადოება დიდად ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩა წარმოდგენით.

1903 წ. დამლევს ოუსულ ჟურნალში დასტამბული და 1904-ს გაზაფხულზე უკვე თბილისის ქართულ სცენაზე წარმოდგენილი ალ. სუმბათაშვილის დრამა ნამდვილი წინასწარმეტყველური ნაწარმოები გამოდგა.

სამშობლოს მიწაწყალს მოშორებულს, უცხო თეატრის დამამშვენებელს ქართველს, სიცოცხლის მიწურულში თითქმის, თვალწინ წარმოუდგა მისი ტანჯული ქვეყანა და. სჩანს, ისეთის გრძნობით გამსჭვალა მისი სული და გონება, რომ ერთ რომელისმე ისტორიულ მომენტის დრამად დამუშავება არ იკმარა და საქართველოს მეტნაწილად ტრაგიკულ ისტორიის სინტეზი წარმოგვიდგინა მშვენიერ დრამის სახით.

«ღალატი»ს შინაარსს თქვენ ვერ მოათავსებთ ქართულ ისტორიის რომელსამე ხანაში; ვერ იტყვით, რომელ დედოფალს ერქვა ზეინაბი ან ვინ იყო ის ოთარი, რომლისათვისაც სულს წაეძლია და დროებით ბეგობაში ეს სული გაეყიდნა.

დრამაში ნახსენებია მოსკოვი, რომლისგანაც შველას ელიან დატანჯულ ერის მესვეურნი. მაგრამ მოსკოვის დახმარების ძებნა ხომ ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში იწყება. სპარსელებისაგან დარბევა? მას ხომ მე-18 საუკ. დამლევამდე ჰქონდა ადგილი.

ამიტომ შეგიძლიათ, სულ ცოტა, ამ სამის საუკუნის მანძილზე მოათავსოთ, სადაც გნებავთ, «ღალატი»ს სიუჟეტი.

გვახსოვს, ერთმა რუსულმა დიდმა ჟურნალმა სხვა ვერა დაინახა ამ ნაწარმოებში გარდა იმისა, რომ უბრალო საგმირო პიესა არისო. საქართველოს ისტორიის უცოდინარი ან კი როგორ დაინახავდა ამ ნაწარმოებში ამ ისტორიის სინტეზს.

მეფის შვილი, რომელიც სამშობლოს, თავის ერს, შვილურ გრძნობას და ხალხის შვილი პირად გრძნობის დაკმაყოფილებას უმორჩილებს ერის სამსახურის მაღალ მოვალეობას,—ასეთი დაპირდაპირება ჰქონდა აზრად ავტორს?

არა გვგონია, ეს ანტითეზა დრამაში შემთხვევითია და არა განზრახი.

თქმა არ უნდა, ხალხის ცხოვრების სიღრმიდგან გამოდიან ის ცხოველმყოფელი ახალ-ახალი ძალები, რომელნიც კვებავენ ეროვნულ სულს, მაგრამ წარჩინებულთა შორისაც ხშირი ჰყოფილა მაღალის სულის მაგალითები.

არა, დრამას უფრო ღრმა აზრი უდევს საფუძვლად. ეს არის, როგორც მოგახსენეთ, ქართულ ისტორიის სინთეზი,—ქართველ ერის მუდმივი უდრეკელობა, მისის სულის უკვდავება.

თუ ამ სულის გადაშლა, მის მაღალ თვისებათა მოგონება ზოგჯერ თავის ქვეყანაშიაც არის საჭირო, მით უფრო საჭიროა ეს იმათთვის, ვინც მოწვეტილია თავის მშობელ ქვეყანას. ამიტომ ამ პიესის დადგმა დროული იყო და მიზანშეწონილიც.

რაც შეეხება მის სიძნელეს, უნდა ითქვას, რომ ჩვენმა სცენის მოყვარულებმა დიდი გულმოდგინება და უნარი გამოიჩინეს; მათ სძლიეს ყოველივე სიძნელე და წარმოდგენა კარგად და მწყობრად ჩაატარეს.

ჩვენ ვერ შეუდგებით მონაწილე პირთ ცალ-ცალკე დაფასებას; ვიტყვით მხოლოდ, რომ ყოველი მათგანი შეგნებულად და მოდგინებით ასრულებდა თავის როლს და ყველამ ერთად შეჰქმნეს ისეთი ანსამბლი, რომელიც ძველ ქართულ თეატრს მოგვაგონებდა.

ქ-ნნი ე. მამულაშილი, ... და ბ. ერისთავი ჩინებული ზეინაბი, გაინე, რუქაია და ისახარი იყვნენ, და ბ-ნნი ჯავახიშვილი, ხიზანაშვილი, ნებიერიძე, სულხანიშვილი, ზალდასტანიშვილი და თუხარელი ასეთივე სულეიმანი, ოთარბეგი, ანანია, ბესო, დათო და ერეკლე.

შეიძლება, რასაკვირველია, თითო-ოროლა შენიშვნა ყველა მათგანის შესახებ ითქვას; მაგალითად, ერეკლეს ელვისებურ გატაცება ცოტა სხვანაირად შეიძლება გამოიხატოს და ოთარბეგს უფრო დინჯი კილო და მიხვრა-მოხვრა ჰქონოდეს და უფრო ღირსეულად სჭეროდეს თავი, ისე როგორც ძველ დარბაისელ ქართველს ეკადრება. არც იმდენი მიწაზე ფორთხვა იყო საჭირო, საზოგადოდ.

მაგრამ გვახსოვს, რომ კრიტიკა ადვილია საქმეა, და თავს ვანებებთ და ვუსურვებთ ჩვენს სცენის მოყვარულთ კარგათ დაწყებული საქმის ისევე კარგად განგრძობას.

დასასრულ არ შეგვიძლია არ გამოვსთქვათ ჩვენი კმაყოფილება დეკორაციების შესახებაც. მართალია, მეტეხი პატარა მოგვეჩვენა იმ სიახლოვეზე, მაგრამ ეს უფრო სცენის სივიწროვის ბრალი უნდა ჰყოფილიყოს, ვიდრე მხატვრისა.

ი. ზ.

ეროვნული მოძრაობა მაჰმადიანთა შორის

ორ დიდ მუსულმანურ ქვეყნის მეზობლობამ წარუხოცელი დაღი დაამჩნია ჩვენის ქვეყნის ისტორიას. თუ ჩვენის ერის უდიდესმა ნაწილმა ქრისტიანობა შეინარჩუნა და საქართველოს დასავლეთ-სამხრეთი ნაწილი გამაჰმადიანდა მხოლოდ, ეს არ მოწმობს კიდე, რომ საქართველოს ისტორიას არ განეცადოს ისეთი უბედურობანი, რომელთაც უკუღმა დაატრიალეს მისი ბედი და დღევანდელ ყოფამდე მიიყვანეს ეს სულ სხვა ბუნებისა და თვისებათა პატრონი ერი, ვიდრე მისი მეზობლებია.

მშვიდობიანი, გულღია, ცნობის მოყვარე, ცოდნისა და განათლების ხარბი, მოტრფიალე სილამაზისა, ამ მცნების მრავალსახიანობის აზრით, ქართველი ერი თავისის სულიერის თვისებებით და თავის გონების მიდრეკილებით უფრო ევროპიულ ხალხთა ოჯახს ეკუთვნის, ვიდრე იმ ხალხების, რომელნიც გარს შემორტყმოდნენ და საუკუნეთა განმავლობაში სიცოცხლეს უმწარებდნენ და სულს უხუთავდნენ.

სპარს-თურქებისაგან რბევა და აოხრება, მონღოლთა შემოსევა, ოსმალთა ბატონობა,—ასეთი იყო მისი ნორმალური ცხოვრება და უნორმალოდ უნდა ჩაითვალოს ის მოკლე ეპოქები, როდესაც სისხლისაგან დაცლილი ეს უდრეკის სულის პატრონი ერი დაჟინებით იწყებდა ხოლმე ნანგრევზე ეროვნულ ცხოვრების აღმშენებლობას.

ერი მოწამე, რადგან ქრისტეს სჯულის დაცვაში ხედავდა იმ მაღალ მორალის შენახვას, რომელიც განუყოფელია მის მსოფლხედველობასთან და რომელსაც არ ეგუებოდა მოზღვავებულ მეზობელთა ბუნება და მსოფლმბდველობა.

რაც რომ ქართველ ერს გარდახდა თურქებ-მონღოლ-სპარს-ოსმალთა, ერთის სიტყვით, იმ ხალხთა და ტომთა წყალობით და მიზეზით, რომელნიც შემდეგში გააერთიანა მაჰმადის სჯულმა, მეტადრე მას შემდეგ, რაც რომ განათლებულ და ერთმორწმუნე დასავლეთ ევროპის კარი დაგვიხშო და თავის უსაზღვრო წრის შუაგულში მოგვიქცია, სრულებით ბუნებრივია, აღვერას ჩვენს ხალხს უდიდესი ინტერესი იმისა, თუ რას წარმოადგენს ეს მუსულმანური ქვეყანა დღესდღეობით, რა ასულდგმულებს, ხდება მასში გადატეხა რამ—და რამე ცვლილება მის მსოფლმხედველობაში; თუ ხდება, რა მიმართულებას იღებს, რა სურვილი და მისწრაფება ამოძრავებს, პირს საით შვრება?

ყველა ეს საკითხები, საზოგადოდ საინტერესო, განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის, რადგან წინანდებურად მომწყვდეული ჰყავს ამ უსაზღვრო ზღვას ჩვენი ქვეყანა პატარა უმწეო კუნძულის მსგავსად.

ამ საკითხების გამორკვევას ისახავს საგნად ამერიკელი სწავლული Lothrop Stoddard-ი თავის თხზულებაში «Le Nouveau Monde d' islam» (ახ. ისლამი).

წიგნი საგნის ღრმა და პირუთვნელ კვლევა-შესწავლის ნაყოფია და, როგორც ასეთი, მეტად საგულისხმიერო იქნება, უეჭველია, ჩვენი მკითხველთათვის.

ჩვენს მოვალეობათ დავისახეთ ამიტომ გავაცნოთ ამ წიგნის შინაარსი ჩვენის ჟურნალის მკითხველებს, ხოლო წიგნისთვის წამძღვარებული თვით ავტორის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოკლედ, მაგრამ მკაფიოდაა მოცემული ისლამის გაჩენის, განვითარების და მნიშვნელობის და ისლამისა და საქრისტიანო ევროპის შეტაკების მიზეზები და შედეგები მეოცე საუკუნის კარამდე, ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ სავსებით გვეთარგმნა.

ივ. ს—ლი.

ძველის ისლამის დაქვეითება და დაცემა.

ისლამის გავრცელება შეიძლება კაცობრიობის ისტორიის უსაკვირველესი მოვლენა იყოს. გამოსული ხალხიდგან და ქვეყნიდგან, რომელთაგან არც ერთი და არც მეორე ყურადღების ღირსი არ იყო წინად, ისლამი ერთის საუკუნის მანძილზე ქვეყნიერობის მთელს ნახევარს მოეფინა, დააკუწმაწა დიდი იმპერიები, დასცა დიდის ხნიდგან დამყარებული სჯულთდებანი, თავის ყალიბში გადაადნო რასათა სული და შექმნა სრულებით ახალი ქვეყანა—ქვეყანა ისლამისა.

რაც უფრო დიდისგულმოდგინებით უკვირდება ადამიანი ამ გავრცელებას, მით უფრო გაკვირვებული რჩება. სხვა დიდმა რელიგიებმა ნელა და მძიმე ბრძოლით განვლეს თავიანთი გზა და ბოლოს ახალ რჯულად მოქცეულ მძლავრ ხელმწიფეთა ღახმარების წყალობით გაიმარჯვეს. ქრისტეს რჯულს ჰყავდა თავისი კონსტანტინე, ბუდიზმს მისი ასოკა და ზოროასტრის მოძღვრებას მისი კიროსი; ყოველმა მათგანმა მის მიერ არჩეულ ღვთის მსახურებას მიაშველა მთელი თავისი ას წლობით შექმნილი ძალიერება.

ასეთი არ იყო ისლამის ამბავი. იგი დაიბადა უდაბნო ქვეყანაში, სადაც სახლობდა მომთაბარე და გაფანტული ტომი, რომელსაც ჯერ კიდე არ გამოეჩინა თავი კაცობრიობის მატიანეში, და თავისი დიდებული სვლა დაიწყო, შეიძლება ითქვას, უმცირეს ზნეობრივ დახმარებას მოკლებულმა და უმძიმეს მატერიალურ პირობებში. მიუხედავად ამისა ისლამმა თითქმის სასწაულებრივ სიადვილით გაიმარჯვა, და ორმა თუ სამმა თაობამ იხილა ცეცხლის ახალი მთვარე გამარჯვებით მიტანილი პირენედგან ჰიმალაიამდე და შიდა აზიის უდაბნოებიდგან აფრიკის უდაბნოთა შუაგულამდე.

ამ გასაოცარ გამარჯვების ფაქტორთა შორის უმთავრესი იყო არაბთა ტომის ხასიათი, მაჰმადის მოძღვრება, ბუნება და აღმოსავლეთ ქვეყნის იმღროინდელი საზოგადო მდგომარეობა. თუმცა არაბებს ჯერ თავი არ გამოეჩინათ, მაგრამ ეს იყო ხალხი დაჯილდოვებული შესანიშნავ თვისებებით, რომელნიც იმ დროს ცხადად მოითხოვდნენ საქმედ ქცევას. რამოდენიმე თაობით წინ მაჰმადის მოსვლამდე არაბეთმა სიცოცხლის უდიდესი ძალა გამოიჩინა. არაბებმა უარყვეს თავიანთ მამაპაპური კერპთ თაყვანისცემა და ალლო აიღეს და პირი ჰქმნეს უფრო მაღალ შემეცნებისადმი. გონებათა ამ დულილში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისლამის ხმა საყვირის მოწოდებასივით გაისმა. მაჰმადი, არაბი არაბთა შორის, თავის ტომის სულის თვით განსახიერება იყო. მარტივის, მკაცრის, საღვდელმთავრო სირთულესა და დამუშავებულ სწავლულ სამკაულებს მოკლებულ ერთ-ღვთაების მქადაგებელი, ის სწვდებოდა იმ რელიგიურ გულმოდგინეობის სათავეს, რომელიც მუდამ ღეივის სემიტიურ გულში.

არაბებმა დაივიწყეს მოცილეობა და გვარეულობათა შორის გამუდმებული ბრძოლა, რომელმაც შინაურ დავებში დალიეს მათი ენერგია, და თავიანთ ახალის რჯულის ცეცხლით ერთ ბრწყინვალე ერთეულად გადადულებულები გამოვიდნენ თავიანთ უდაბნოებიდგან, რათა ქვეყნიერება დაემორჩილებინათ ალლაჰსათვის, ჟეშმარიტ ერთ ღვთაებისათვის.

სიროკოს მსგავსად, არაბეთს ამოვაინდხილს ისლამს მხოლოდ სულიერი სიცარიელე ღა დახვდა გზაში. ბიზანტიის და სპარსეთის იმპერიები, რომელნიც გამვლელ მეთვალყურეს თუ ეჩვენებოდა მხოლოდ დიდ ძლიერებად, გამხმარ, გამოფიტულ ცხოველ ძალას მოკლებულ ჩენჩოს ღა წარმოადგენდნენ. მათი რჯული დაცინვა და თვალთმაქცობა იყო მხოლოოდენ. სპარსეთის ძველი ღვთისმსახურება, ზოროასტრისა, მოგვობად გადიქცა. მედიდურ სამღვდელოებად, რომლის დევნილობითი ტირანია ფარულ ზიზღსა და სიძულვილს იწვევდა. რაც შეეხება წარმართობის წვრილმანებით შემკულს და გადაგვარების გზაზე დამდგარ ბერძნულ გონებას, უგნურ თეოლოგიურ აზროვნებით შერყვნილს, იგი იესო ქრისტეს დარიგებათა სახიზღარ კარიკატურას წარმოადგენდა. მოგვობასა და ქრისტიანობაში, ორთავეში დიდი შინაური ერესული მიმდინარეობანი გაჩნდა, და აქედგან იბადებოდა ბარბაროსული დევნა და უმძაფრესი სიძულვილი. ამას გარდა ბიზანტიაცა და სპარსეთიც, ერთიც და მეორეც მხეცური დესპოტიები, აცამტვერებდნენ თავიანთ ქვეშევრდომთ და სათავეში უხშობდნენ მათ სამშობლოს სიყვარულს და სახელმწიფოს ერთგულებას. დაბოლოს, ამ იმპერიებმა საშინელი ომი გადაიტანეს, რომლიდგანაც სისხლ გართმეულები და დატანჯულები გამოვიდნენ.

ასეთი იყო ქვეყნიერება, რომელიც უნდა დახვედროდა ისლამის ტალღას. შედეგი ცხადი იყო: რა ერთხელ გაარღვია უდაბნოს ფანატიკოს შვილთ ცეცხლ მოკიდებულმა შეტევამ აღმოსავლეთ რომის ლეგიონთა და სპარსეთის ჯავსნოსან მხედართა წესიერი ძალა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერს ბოლო დაუდეა, პატრიოტულ წინააღმდეგობას ადგილი არა ჰქონია. ფეხით გათელილმა ხალხებმა პასიურად აღიარეს ახალი ბატონები, ხოლო მრავალრიცხოვანი ერეტიკოსები სიხარულით მიეგებნენ იმ თანამორჯულეთა დამხობას, რომელნიც სდევნიდნენ მათ და რომელნიც ბევრად მეტად სძულდათ. ვიდრე უცხოელი დამპყრობელნი. სულ მოკლე ხანში დამარცხებულ ხალხთა უმრავლესობამ მიიღო ახალი რჯული, რომელიც მათ საკუთარ გადაგვარებულ ღვთისმსახურებასთან შედარებით ესოდენ მიმზიდველი იყო თვისის სიმარტივით. თავის მხრით არაბებმა უნარი გამოიჩინეს თავიანთ ბატონობის განმტკიცებაში. ისინი არ იყვნენ სისხლის მწყურვალე და მხოლოდ ნადავლის შოვნასა და ნგრევას დახარბებული ველურები. პირიქით, ეს იყო შთამომავლობითი ღირებულებით დაჯილდოვებული მოდგმა, სწავლის მოყვარული და ძველ ცივილიზაციათა მემკვიდრეობის პატივისმცემელი. დაქორწინებისა და საერთო რჯულის საშუალებით გამარჯვებულები და დამარცხებულნი ჩქარა გაერთიანდნენ და ამ გაერთიანებიდგან წარმოიშვა ახალი ცივილიზაცია—ცივილიზაცია სარკინოზული; რომელშიაც ძველი ბერძნული, რომაული და სპარსული კულტურები განაცხოველა არაბულმა ძალამ და ერთმანეთში შეადუღა არაბულმა გენიამ და ისლამის სულმა. თავის არსებობის პირველ სამ საუკუნის განმავლობაში (650-1000 წ.წ. დაახლოვებით) ისლამის სამეფო იყო ქვეყნიერობის უგანათლებულესი და პროგრესის გზაზე ყველაზე დაწინაურებული ნაწილი, მდიდარი მშვენიერის დიდებულის ქალაქებით, ნარნარის მეჩეთებით და მშვიდობიან უნივერსიტეტებით, სადაც პატივისცემით დაცული იყო ძველის ქვეყნის სიბრძნე. მუსულმანური აღმოსავლეთი გასაოცარ კონტრასტს წარმოადგენდა საქრისტიანო დასავლეთთან შედარებით, რომელიც ბნელით იყო მოცული იმ დროს.

მაგრამ მე-X საუკუნეში სარკინოზთა ცივილიზაციას, ცხადად ეტყობა დაქვეითების უდავო ნიშნები, ეს დაქვეითება პირველში პროგრესიული იყო. მეცამეტე საუკ. საშინელ უბედურებამდე ამ ცივილიზაციამ გამოიჩინა ძალა და შეინარჩუნა თავისი უპირატესობა საქრისტიანო დასავლეთთან. ყოველ შემთხვევაში მე-1000 წელს მისი ოქროს ხანა განვლილი იყო. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ჯერ თავი იჩინა ხელახლა არაბულ მოდგმის ძველმა ჟირმა, ძვალრბილში გამჯდარმა პარტიობის სულმა. მეტოქე გვარეულობანი ერთმანეთს ედავებოდნენ ისლამის ხელმძღვანელობისთვის და ეს დავა გადაიქცა სამოქალაქო სისხლის მღვრელ ომებად. ამ შინაგან ბრძოლებში განელდა პირველ დღეთა სიმხურვალე და ისლამის პირველ მებაირაღე აბუ ბეკრისა და ომარის მსგავსმა წმიდა კაცებმა ადგილი დაუთმეს დაბალ განზრახვათა პატრონ წინამძღოლებს, რომელნიც ხალიფობაში დესპოტიზმისა და პირად განდიდების საშუალებას ხედავდნენ. მთავრობის ბინა გადატანილ იქნა დამასკოში, სირიაში და, უფრო გვიან, ბაღდადს, მესოპოტამიაში. ამ გადატანათა აზრი ცხადია. მექაში დესპოტიზმი შეუძლებელი იყო. უდაბნოს არაბები, ფიცხნი და დაბადებით თავისუფალნი, ბატონს არ ითმენდნენ და მათი თანდაყოლილი დემოკრატიული განწყობილება დაკანონებული იყო წინასწარმეტყველის მიერ, რომელმაც ნათლად განაცხადა, რომ ყველა მორწმუნე ძმები არიანო.

მექის სახალიფო იყო დემოკრატია, რომელსაც სასულიერო წოდება მართავდა. აბუ ბეკრი და ომარი ხალხის მიერ იყვნენ არჩეული და თავიანთი თავი პასუხისმგებლად მიაჩნდათ საზოგადო აზრის წინაშე და მორჩილად იმ სამღვთო სჯულისა, რომელიც მაჰმადისაგან იყო გამოცხადებული ყურანში.

(გაგრძელება იქნება)

უცხოეთის მიმოხილვა.

სიტყვა სწვაა...

ევენევაში სიტყვების კორიანტელია, შანჰაიში დიდი შეტევა დაიწყო! ეს კონტრასტი, ეს წინააღმდეგობა სიტყვასა და საქმეს შორის ნამდვილი ტრაგედიაა დღევანდელ უმწეო საერთაშორისო მდგომარეობაში. ერთა ლიგის საბჭო სექტემბრიდან სულ იაპონია-ჩინეთის კონფლიქტს დასტრიალებს, რეზოლიუციები, მიმართვები, საანკეტო კომისიები; შედეგი არაფერია, კიდევ უარესი, საბჭომ დაჰკარგა უკანასკნელი პრესტიჟი, ბოროტნი დასცინიან კიდეც, არ ერიდებიან. ბოლოს ჩინეთიც მიუხვდა ამას, მოითხოვა თვით ლიგის ყრილობის მოწვევა, საბჭომაც მოიწვია 3 მარტისთვის.

პუანკარე ამბობს თავის მემუარებში, ინგლისს რომ დროზე ეთქვა გარკვევით, 1914 წ., ომში ჩავერევიო, გერმანია ვერ გამოაცხადებდა ომსაო. იგივე ითქმის დღეს ამერიკის შესახებ: მას რომ ემცნო გადაჭრით იაპონიისათვის იარაღით ჩავერევიო, უკანასკნელი არ გასწევდა ასეთ რისკს. მეორე სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო იგივე როლი ეთამაშნა, არის რუსეთი, მაგრამ იქ სხვედან ბოლშევიკები მე-15 წელია და ისე გამოაცალეს მას არაქათი, რომ კიდევ კარგი, თუ მისი ტერიტორია უვნებლად გადარჩა.

დასავლეთში იყო ჩურჩული, ვითომ ამერიკა და რუსეთი ერთად უპირებენ იაპონას დაკვრასო! რა თქმა უნდა, ეს მოსკოვის დამქაშების მოჭორილი ამბავი იყო, ხუმრობა ჩომ არაა ამერიკასთან «ალიანსი», ამას უნდა აეწია მოსკოვის პრესტიჟი. იმავე დროს იაპონია იკავებს ხარბინს, რუსეთის ამ გაშენებულ ქალაქს და რას ეხედავთ? ისე ჩაიგუბეს პირში წყალი კრემლის ჯიელებმა, რომ ჩამი-ჩუმიც არ ისმის მათგან, თითქო მათ არ ეხებოდეს. ისინი იმკიან, რაც დასთესეს: დღიდან გადატრიალებისა ბოლშევიკები წყალს ამღვრევდენ ჩინეთში, ისედაც ცეცხლის ალში გახვეულ ხალხს ნავთს ასხამდენ, ავრცელებდენ ანარქიას, ცარცვა-გლეჯას, ყლეტას და რა გასაკვირია, თუ ჩაერია იაპონია, რომლის მოქალაქეთ და ქონებას საშიშროება მოელოდა.

კიდევ მეტი. თუ დიდი სახელმწიფოები არ იჩენენ მაინც და მაინც დიდ ენერგიას იაპონიის შესაჩერებლათ, ამის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც არის, რომ ჩინეთის გვერდით ბოლშევიკური რუსეთია, რომლის მახინაციებს ჩინეთში მხოლოდ იაპონია მოუღებს ბოლოსო. ზოგიერთი მათ შორის იმასაც კი ფიქრობს, ვინ იცის იქნება იმავე იპონიამ დაამხოს ბოლშევიზმიო. საბჭოთა კავშირის ხალხები ხომ ამაზე ლოცულობენ! თეთრი რუსებიც ჩინეთში თუ სხვაგან ამას იხვევენ ხელზე და ბუფერ-სახელმწიფოს დაარსებას ლამობენ. არ შეიძლება ითქვას, იაპონია ამას ცუდი თვალით უყურებდეს, ერთი საბაბი მოსკოვისაგან საკმარისია, რომ სიტყვა საქმედ იქცეს.

ჯერ-ჯერობით კი მანჯურია გამოცხადდა ბუფერად, მუკდენში ახალი მთავრობა შესდგა, ძველი იმპერატორი პრეზიდენტად აირჩიეს, რატომ? შეიძლება, როცა ჩინეთს დაამარცხებენ, ისევ მანჯუს დინასტია გაამეფონ პეკინშიო! ყოველ შემთხვევაში, იაპონიამ მაგრად ჩასჭიდა ხელი მანჯურიას, მისი ჯარების ევაკუაციაზე ლაპარაკიც არაა, მაშასადამე, მოსკოვის ვერაგ ჩარევებს ხომ საზღვარი დაედება, ეს უკვე მიღწეული ფაქტია. აქედან რუსეთის მფლობელობის ლიკვიდაცია რკინის გზაზედ, შეიძლება, ზღვის პირზედაც დღის წეს-რიგშია.

ამ დროებით შანჰაისკენაა მსოფლიო ყურადღება, იქ წყდება ომისა და ზავის კითხვა არა მარტო ჩინეთსა და იაპონიას შორის, ვინ იცის იქნებ სხვებიც იქენენ ჩათრეული. სტალინმა სთქვა, ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ, შეიძლება იძულებული გავხდეთო. იგივე ითქმის ამერიკაზე და რამდენათმე ინგლსზე. ომი არ გვინდაო—ამბობენ, და ეს დასაჯერებელია, მაგრამ, თუ მათ არსებით ინტერესებს შეეხენ, იძულებული გახდებიან უპასუხონ. აი რა პერსპექტივების წინა ვდგევართ. შესძლებენ დიდი სახელმწიფოები ააშორონ ეს უბედურება კაცობრიობას?

განიარაღება თუ შეიარაღება?

პირველი არა სჩანს, მეორე აშკარაა. განიარაღების კონფერენცია ბედის გადამწყვეტ ფაზაშია. სამი კვირა ილაპარაკეს, დაიღალენ ორატორნიც და მსმენელნიც, იმდენჯერ წარმოითქვა სიტყვა «მშვიდობიანობა», რომ მიადოთ ერთმანეთს, დედა-მაწის ერთი კიდიდან მეორე კიდემდე მიაღწევს. ხოლო განიარაღებაზე თითქო არავინ ფიქრობს.

ზოგადათ რომ ვთქვათ, წარმოსდგა სამი გეგმა და ყველა 56 სახელმწიფო ან ერთს ემხრობა, ან მეორეს. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ესენი: ანგლო-საქსონური, იტალია-გერმანული და ფრანგული. რას მოითხოვს პირველი გეგმა, ე. ი. ანგლო საქსონური? ინგლისის საგარეო მინისტრმა სერ საიმონმა გადაშალა ის და ამერიკის პირველმა დელეგატმა დაასაბუთა. უნდა შემცირდეს ხმელეთისა და ჰაერის შეიარაღება, ჩვენ მზათა ვართ მაქსიმუმზე წავიდეთ ამ მხრივო, ხოლო რაც შეეხება ზღვის შეიარაღებას, ლონდონში უკვე შევთანხმდით სამნი (ინგლისი, ამერიკა, იაპონია), ესლა საფრანგეთი და იტალია უნდა შემოგვიერთდენო. გამოდის, გეგმა გულისხმობს ხმელთა სახელმწიფოების ძალაზე შესუსტებას და ზღვათა სახელმწიფოების გაძლიერებას. იტალო-გერმანიის გეგმა ბაზად იღებს თანასწორობას, მზათა ვართ გავანახევროთ ჩვენი ძალები, მხოლოდ არავის უნდა ჰქონდეს მეტი ძალაო. ორთავეს, რა თქმა უნდა ნიშანში საფრანგეთი ყავთ ამოღებული. რას ამბობს უკანასკნელის გეგმა? მეც მაქსიმუმზე წამოვალ, შევამცირებ, მხოლოდ ჯერ უზრუნველვყოთ მშიდობინობა; ამიტომ მივცეთ ერთა ლიგას მატერიალური ძალა, გადავცეთ მას, რასაც ჩვენ დავიკლებთ, ე. ი. ყველაზე უძლიერესი შემტევი იარაღები და, თუ ვინმე გაბედა ომი, ლიგა დასჯისო.

ამ სამი გეგმის ირგვლივ ირაზმებიან დანარჩენი სახელმწიფოები. ანგლო-საქსონურს უჭერენ მხარს დიდი ომის დროს ნეიტრალები; იტალო-გერმანულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოები, ოსმალეთი, უნგრეთი, ბოლგარია; საფრანგეთისას პოლონეთი, რუმინია, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია. მაგრამ არის ერთი რამ, რომელშიაც თითქო ყველა თანხმდებიან—ეს შემტევი იარაღების (სამხედრო გემების ათი ათას ტონაზე მეტი, დიდი ჰაერო და ჰიდროპლანები, ტანკები, ქვეშმავალები) თუ არა მთლათ მოსპობა, ძალზე შემცირება. მაგრამ ეს თანხმობაც შედარებითია, მაგ., ამერიკას არ სურს გემების ტონაჟის დაკლება, საფრანგეთს და იაპონის—ქვეშმავალთა მოსპობა და სხ. გამონაკლის წარაოადგენს გაზებით და ბაცილებით მშვიდობიან ხალხის ვნება. ამგვარ ომს ყველა უარყოფს. თუმცა აქაც მოიკოჭლებენ, რადგან ჰააგის აღკრძალვამ ხელი არ შეუშალა გერმინიას და სხვებს მიემართნათ ასეთი გამანადგურებელი ომისთვის.

მაგრამ ნამდვილი ბრძოლა გაიმართება ისევ თანასწორობის ირგლივ. გარმანია ამ მხრივ დიდ თანხმობას და გამბედაობას იჩენს. ვერსალის ზავით თქვენ ვალდებულად სცანით თქვენი თავი—ეუბნება ის გამარჯვებულ სახელმწიფოებს—შეგემცირებიათ შეიარაღება, საზომი იმავე ვერსალის ხელშეკრულებაშია, ე. ი. უნდა განიარაღდეთ იმდენად, რამდენათ მე განმაიარაღეთო! გამოდის, გამარჯვებულნიც და დამარცხებულნიც უნდა გათანასწორდენ, აი რა მოგვცემს ნამდვილ უზრუნველყოფასო. და გერმანია იმუქრება კიდეც: თუ ასე არ გიქნიათ, მე ვიბრუნებ თავისუფლებას, შევიარაღდები თქვენსავითო. ამით, როგორც ხედავთ, ერთი მოსმით სურს ვერსალის ხელშეკრულების გაუქმება, აი რას ვეძახით გერმანიის გამბედაობას.

რას შვრება ლიტვინოვი? მისი სიტყვა ნამდვილი «ჯენტლმენური» იყო: ჩვენ მოვითხოვთ სრულს განიარაღებას. არ გინდათ? ჩვენ მივემხრობით შემცირებასაც, ხედავთ როგორი ერთგული ვართ მშვიდობიანობის, ერთა თვითგამორკვევის (ადგილიდან მიაძახეს: საქართველო?!), თავდაუსხმელობის პაქტებსა ვკრავთო. ლიტვინოვის ტაქტიკა ურიგო არაა, ვისმეს წყენას ერიდება, თავს იკატუნებს და იმავე დროს სულგანაბული ელის, როდის აფეთქდებიანო.

დიახ, ბრძოლა დიდი იქნება, რით გათავდება არავინ იცის, ვიცით კი ერთი: თვითეული იძულებული იქნება გამოაშკარავოს თავის გულის ნადები და ესეც მიღწევაა.

საქართველოს ამბები

(ქურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთ «კომუნისტის» 1 თებერვლის ნომერში დაბეჭდილია: ყვარელის რაიონის სკოლებში მეცადინეობა შეჩერებულია უშუშობისა გამო, მასწავლებლებს არ მიუღიათ გასული წლის ნოემბრის ჯამაგირიც კი.

— ტყვარჩელმშენის მუშებისათვის გათვალისწინებული პროდუქტების ნაწილი გაუგზავნეს ბაქოს და სოხუმს, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელებს თავიანთი მტკიცე ნორმა აქვთ. ტყვარჩელმშენის მუშებისათვის გამოგზავნილ ფეხსაცმელებიდან 70 პროც. ბავშის ფეხსაცმელები აღმოჩნდა. მესამე კვარტალის პროდუქტები მეოთხეში მიიღეს.

— ტყვარჩელმშენის ტექნიკური ხელმძღვანელი ინჟ. ფინენკო ადგილობრივ მცხოვრებლებს სამუშაოზე არ იღებს. «რამდენიც არ უნდა გამომიგზავნოთ აფხაზი, არც ერთს არ დავუშვებ სამუშაოზეო», ასე ამბობს და უყურადღებოთ სტოვებს უმაღლეს ორგანოების დადგენილებას.

— ტფილისში ფასების დიდი მოუწესრიგებლობაა, ერთი და იგივე საქონელი სხვადასხვა კოოპერატივებში სხვადასხვა ფასად იყიდება. მაგალ. კილო მაკარონი ზოგან 50 კაპ., ზოგან მეტი, ზოგან ნაკლები; კილო ბრინჯის ფასი ქანაობს 70-80 კაპ. შუა, კილო კარაქი იყიდება 6 მან. 12 კაპ. და 5 მან. ნახევრადაც; პალტო ერთგან იყიდება 41 მან., სხვაგან 26 მან. და ასე სხვაც.

— კოლმეურნეობის ახალგაზდობის სკოლის და საფ. საქ. შვიდწლედების გაგმით ქართულ ენას აქვს დათმობილი წელიწადში 135 საათი, ხოლო რუსულს 180.

— საქარ. განათლების მუშაკთა ყრილობაზე მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ მათი ქონებრივი მდგომარეობა უკიდურესია, რომ მრავალ რაიონში მასწავლებლებს არ მიუღიათ 4-5 თვის ჯამაგირი, რომ პროდუქტებს ან სრულებით არ იღებენ, ან იღებენ სულ მცირედს.

— ამ. კავკ. მიწსახკომის კოლეგიამ გადაწყვიტა მეევნახეობის საკავშირო ინსტიტუტი ტფილისიდან გადატანილ იქნეს თელავში.

— გ. მურადიანმა სომხურად გადათარგმნა «ვეფხის ტყაოსანი». სომხეთის სახგამი თარგმანს გამოსცემს გაზაფხულზე.

— საქართველოში იანვრის დამლევს და თებერვლის პირველ რიცხვებში მეტად დიდი თოვლი მოვიდა, თოვლის სიმაღლე ზოგან ორ მეტრამდის აღწევდა.

— ტფილისში თებერვლის 7 გარდაიცვალა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.

«დამოუკიდებელი საქართველო»ს რედაქცია გულითადს სამძიმარს უცხადებს თავის თანამშრომელს დ. შარაშიძეს მისი ძვირფასი მამის, დამსახურებული მასწავლებლის გიგო შარაშიძის გარდაცვალების გამო.

გიგო შარაშიძე

თებერვლის 9-ს, ს. ბახვში გადაცვლილა ფრიად დამსახურებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე გიგო შარაშიძე. განსვენებული მის მეუღლესთან ერთად, რომელიც პედაგოგია აგრეთვე, ათეულ წლების განმავლობაში განაგებდა ბახვის ნორმალურ ორ კლასიან სასწავლებელს, რომელიც მთელს გურიაში ითვლებოდა საუკეთესო პირველდაწყებით სასწავლებლათ.

ამავე დროს გიგო შარაშიძე ენერგიულ მონაწილეობას იღებდა გურიის კულტურულ და პოლიტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურ ცხოვრებაში. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო მრავალი საკვირაო სკოლა, სამკითხველო, კოოპერატივი და მრავალი სხვა.

პოლიტიკური მოღვაწეობა განსვენებულმა დაიწყო ახალგაზდობიდანვე. პირველ ხანებში იგი «ნაროდნიკი» იყო, შემდეგ მიემხრო საქართველოში ახლად ფეხადგმულ მარქსისტულ მოძრაობას და მისი ერთგული დარჩა ბოლომდე.

ამ რამდენიმე წლის წინათ მოხუცებულმა პედაგოგმა თავი გაანება სამსახურს, მაგრამ მუდამ მრომას მიჩვეულმა უსაქმოთ მოსვენება ვერ ჰპოვა და შეუდგა პროვინციალურ სიტყვების შეკრებას; მარტო გურიის საზღვრებში მან შეკრიბა 3.000 ასეთი სიტყვა.

განსვენებულის ღვაწლი იმდენათ თვალსაჩინოა, განსაკუთრებით გურიისათვის, რომ მისი ხსოვნა და პატივისცემა წაუშლელი დარჩება ყველა გურულის გულში.

გ. უ.

ლეონ ვასილევსკი

თებერვლის 16 ვარშავამ ორმოცი წლის იუბილე გადაუხადა პოლონეთის ცნობილ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეს, ლეონ ვასილევსკის, რომელიც მთელი სიცოცხლე იბრძოდა ეროვნული იდეის გასამარჯვებლად.

ლ. ვასილევსკი დაიბადა 1870 წ.; განათლება მიიღო ლვოვის და პრაგის უნივერსიტეტებში. არალეგალურ მუშაობას ეწევოდა პოლონელ სოციალ. ორგანიზაციებში და მთავრობის დევნის გამო იძულებული იყო ლონდონში გადასახლებულიყო, სადაც ხელმძღვანელობდა თავისუფალ ორგანოს «დილას». აქ იგი დაუახლოვდა რუსეთის სხვა ჩაგრულ ერების მოღვაწეებს. 1908-1914 წლ. იგი რედაქტორობდა პოლონ. სოციალისტების გაზეთს «რაბოტნიკს». 1918 წ. დაინიშნა განთავისუფლებული პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრად, ხოლო 1920 წ. იყო პოლონეთის ელჩად ესტონეთში.

ლ. ვასილევსკის მოღვაწეობის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს ბრძოლა ეროვნულ თავისუფლებისათვის. ის მუდამ დამცველი იყო არა მარტო თავის ერის, არამედ ყოველთვის ესარჩლებოდა ყველა დამონებულ ერს და იმ აზრს ქადაგებდა, რომ ყოველი ერი უნდა შეადგენდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

ამ მცნების მატარებელი იყო ის ძველ დროს, ამასვე ემსახურება დღესაც და ამბობს, რომ საბჭოთა დღევანდელი ფედერაციის დაშლა აუცილებელია და თითოეული ერი ცალკე რესპუბლიკას შექმნისო. იუბილარი მუდამ დიდის სიმპატიით ეპყრობოდა ბოლშევიკების დაჩაგრულ ერებს და უკანასკნელნი, უეჭველია, სულითა და გულით შეუერთებენ თავის ხმას მთელი პოლონელი ერის ხმას კეთილშობილი მებრძოლის 40 წ. იუბილეს გამო.

ჩვენი მთავრობის თავმჯდომარემ მისალმების დეპეშა გაუგზავნა იუბილარს.

ადერბეიჯანელთა შორის

ბერლინში გამოვიდა პირველი და მეორე №№ ადერბეიჯანულ გაზეთის «ისტიკლალ»ის (დამოუკიდებლობა) მ. ე. რასულ-ზადეს რედაქტორობით. გაზეთი არის გაგრძელება წინანდელ ადერბეიჯანულ გამოცემების «ოდლუიურტ»ის და «ბილდირიშ»ის და მიზნად ისახავს ემსახუროს ადერბეიჯანის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის აღდგენას, კავკასიის კონფედერაციას და რუსეთის ფარგლებში მომწყვდეულ დამონებულ ერების სოლიდარობას და კავშირს.

მეთაურში რედაქცია მწუხარებით აცხადებს, რომ ჩვენი წინანდელი გაზეთები გამოდიოდენ სტამბოლში, მაგრამ ბოლშევიკების მთავრობის ჩარევისა გამო იძულებული გავხდით გამოცემა ბერლინში გადაგვეტანა და იქ გაგვეახლებია ჩვენი მუშაობაო.

— გაზეთის გამოსულ ორ ნომერში მოთავსებულია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: რუსის ბოლშევიკების პოლიტიკა სომხების მიმართ, ადერბეიჯანელ გლეხების მოძრაობა საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ, ნ. რამიშვილის პროცესი, სწავლა-განათლების საქმე ადერბეიჯანში, ბოლშევიკურ ლიტერატორების «თავდასხმა», დაგვიანებული კრიტიკა (რასულ-ზადეს წიგნის გამო) და სხ.

გაზეთს მუდმივი განყოფილება აქვს მეზობელ და სხვა ჩაგრულ ერების განმათავისუფლებელ მოძრაობის შესახებ და ფართო ინფორმაცია ადერბეიჯანის ცხოვრების.

სულით და გულით მივესალმებით ჩვენს მოძმეს «ისტიკლალს» და ვუსურვებთ, რომ დასძლიოს ყოველი სიძნელე და ყოველთვის მაღლა ეკავოს ადერბეიჯანელ ერის დავისუფლების დროშა. ღრმად გვწამს, რომ ის კეთილშობილური და გმირული ბრძოლა, რომელსაც ჩვენთან და სხვა დევნილ ერებთან ერთად ეწევიან მამაცი ადერბეიჯანელები, დამთავრდება სრული გამარჯვებით!

მოგვყავს გაზეთიდან ზოგიერთი საყურადღებო ცნობა:

ბამბის დამზადების გეგმა, მიუხედავად ბოლშევიკების უსასტიკეს ზომებისა, შესრულდა მხოლოდ 47 პროცენტით.

— სპარსეთში გადიოსულ პარტიზანების სიტყვით, ბოლშევიკებმა საგანგებო რაზმები დაგზავნეს ადერბეიჯანში პარტიზანების ამოსახოცად.

— მთავრობამ წითელი ორდენით დააჯილდოვა კომისარი მუსაბეკოვი, რომელიც წარმატებით ებრძოდა მუსავატის პარტიას.

— ადერბეიჯანელების ცნობით, თურქესტანში აჯანყება გრძელდება. გამოცხადებულია საყოველთაო მობილიზაცია, განსაკუთრებით რუსებისა 19-31 წლამდის.

— ადერბეიჯანში გლეხთა ბრძოლა კოლექტივიზაციის წინააღმდეგ კვლავ გრძელდება. ბოლშევიკები მხეცურ ზომებს მიმართავენ. გაზეთი ბეჭდავს ვრცელს სიას განადგურებულ სოფლებისა და დახვრეტილ მებრძოლთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად

საქართველოს ისტორია

მოკლე მიმოხილვა

უძველეს დროიდან 26 მაისამდე.

დავით აღმაშენებელის, თამარ მეფის, შ. რუსთველის
და ერეკლე მეორის პორტრეტებით.

გამოცემა «დამოუკიდებელ საქართველოსი».

ფასი ხუთი ფრანკი.

«დამ. საქართველოს» წლიური ხელისმომწერი, რომელიც თებერვლის ბოლომდის მთლიანად გადაიხდის წლის ფასს, «საქართველოს ისტორიას» მიიღებს უფასოთ.

უკრაინელთა ზოგის

გეპეუმ აღმოაჩინა უკრაინაში დიდი ეროვნული შეთქმულობა სოც. რევოლუციონერების ხელმძღვანელობით. შეთქმულთ ფართო ორგანიზაცია ჰქონდათ და მრავალი განყოფილება გლეხთა შორის, რომელნიც ბოლშევიკების ძალმომრეობამ მიიყვანა უკიდურეს გამწარებამდე, რამდენიმე საიდუმლო სტამბა ჰქონდათ და ავრცელებდენ მოწოდებებს, სადაც მოითხოვდენ უკრაინის დამოუკიდებლობას. ეს მესამე შეთქმულობაა საბჭოთა წინაამდეგ, რომ აღმოაჩინა გეპეუმ ერთი წლის განმავლობაში.

— უკრაინელ კომუნისტებს მოსკოვი ყოველთვის შოვინისტების სახელით ნათლავდა. ეხლა უკრაინის კომ. პარტიის ცენტრალ. კომიტეტი მოსკოვში გადაიყვანეს, რომ უკეთ ადევნონ თვალყური მის მუშაობას, და კომიტეტის წევრთა შორისაც დიდი «გაწმენდა» მოახდინეს. უკრაინის კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ჩუბარიც გადააყენეს და მოსკოვში გაიწვიეს.

— დაუწყეს დევნა უკრაინელ ისტორიკოსებს ეროვნული და პატრიოტული აზრების გავრცელებისათვის, ზოგიერთები გადააყენეს და რუსეთში გადაასახლეს. აკრძალეს ბევრი ისტორიული გამოცემა და უკრაინის აკადემიას ხარჯთაღრიცხვა შეუმცირეს 60 პროცენტით.

— იაპონიის მთავრობის წარმომადგენელმა მიიწვია მანჯურიაში უკრაინელთა რწმუნებულები და სთხოვა მათ მხარი დაუჭირონ ახალ წყობილებას, რომელიც დაიცავს მათ ბოლშევიკების დევნისაგან.

მოძრაობა თურქესტანში

იმიერ კასპიის მდგომარეობა არაფრით განსხვავდება კავკასიის მდგომარეობისაგან. ორი წელიწადია განუწყვეტელი აჯანყებებია, რაიც ბოლშევიკების სასოფლო პოლიტიკამ გამოიწვია. ადგილობრივი წყნარი და მშვიდობიანი ხალხი ძალადობამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და იარაღი აიღო ხელში თავის ღირსების, ქონების და სიცოცხლის დასაცავად. ხშირად ადგილობრივ მკვიდრთ რუსებიც უერთდებიან. მთავრობასა და მცხოვრებლებს შორის ნამდვილი ომი სწარმოებს და მრავალ მსხვერპლს იწვევს ორთავ მხარეზე. ყირგიზები და თურქმენები ათიათასობით არიან გადასახლებულნი ჩრდილოეთ რუსეთში, სოლოვკებში, ამდენივეა გაქცეული მთებში და ავღანისტანში. ბევრი დაკარგეს ბოლშევიკებმაც.

ავღანისტანსა და მთებში გახიზნულებმა ცალ-ცალკე რაზმები შეადგინეს და თავს ესხმიან კომუნისტებს, საბჭოთა მოხელეებს, ხოცავენ და ართმევენ, რაც კი თან აქვთ. ხანდახან ეს რაზმები შეიჭრებიან ქალაქებსა და დიდ ცენტრებში. ასე მაგალითად სამარყანდში დაეცნენ საფინანსო განყოფილებას, გაძარცვეს, გაანადგურეს გადასახადების ფურცლები და უკან გაბრუნდნენ. მეორე ალაგას აჯანყებულები შეუვარდნენ სახლში კომისარს, მთელი ქონება გაიტაცეს, თვითონ კომისარი ცოცხალი დატოვეს მისი ცოლშვილის ვედრებით.

გარდა ამ პარტიზანულ თავდასხმებისა ხდება უფრო დიდი შეტაკებანი. ამას ადგილი აქვს უფრო ავღანისტანის საზღვარზე. აჯანყებულთა და წითელარმიელთა ბრძოლები დღემდის გრძელდება. ასე ხდება სპარსეთის საზღვარზედაც და ფერგანში, სადაც მოქმედობს კერ იშმათის ძლიერი რაზმი. ეს იშმათი 1923-24 წლ. ავღანისტანში გადასახლდა, ხოლო ეხლა ისევ დაბრუნდა და განაახლა ბრძოლა ბოლშევიკების წინაამდეგ. ფერგანშივე დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი 60 წლის ყირგიზს, რომელიც მეტად აქტივური და შეურიგებელი მოწინააღმდეგეა ბოლშევიკების.

გვთხოვენ გამოვაცხადოთ:

საქ. ს.-დემ. პარტიის საზღვარ გარ. ბიურომ მიიღო გადასახლებულთა სასარგებლოდ:

ვარშავიდან (კ. იმნაძიდან)—ქართველთა კოლონიის კომიტეტის შემოწირულება სამას ორმოცდაათი ფრანკი (350 ფრ.) და პრაღიდან (ემ. ლომთათიძიდან) იქაურ ამხანაგებში შეგროვილი ორას სამოცდა შვიდი ჩეხ. კრონა (267 კრ.).

სირცხვილია!

რამდენიმე კვირაა, პარიზის ქართულ ბიბლიოთეკაში მოეწყო ქართული სკოლა ქართველ ბავშვებისათვის (5, Villa d'Orleans, ალეზიას მეტრო). გამოჩნდა შეგნებული და კეთილი ადამიანი, რომელიც კვირაში ორჯელ ხუთშაბათობით და კვირაობით უფასოთ ასწავლის ბავშვებს ქართულ წერა-კითხვას, უკითხავს მოთხრობებს, უამბობს ამბებს საქართველოს ისტორიიდან და განზრახვა აქვს მოაწყოს ქართული სათამაშოებიც.

ამის შესახებ განცხადება უკვე იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში და დღესაც იბეჭდება.

ბუნებრივი იყო, რომ ქართველი მშობლები სიხარულით შეხვდებოდნენ ამ განცხადებას და მიიყვანდნენ დაუყონებლივ თავიანთ შვილებს მასწავლებელთან. ბავშვები ისწავლიდნენ ქართულ წერა კითხვას, გაიგონებდენ თავის სამშობლოს ამბებს, ცოტათი მაინც გაიცნობდენ, გაეცნობოდნენ და დაუახლოვდებოდნენ ერთმანეთს და ასე თუ ისე თავისთავს ქართულ წრეში, ქართველ საზოგადოებაში იგრძნობდნენ.

სამწუხაროთ, კეთილშობილურ მოწოდებას დღემდის, მგონი, მხოლოთ ერთი ოჯახი გამოეხმაურა და სკოლაში სამად-სამი ბავში დადის სამეცადინოთ.

სხვები, სხვა ქართველი მშობლები?

სხვები სდუმან და თავს არ იწუხებენ, არ უნდათ შეიგნონ თავისი ელემენტარული მოვალეობა, არ უნდათ, რომ მათმა შვილებმა კვირაში ორჯელ მაინც იქართველონ, ცოტა ქართული მაინც ისწავლონ და გადარჩნენ სრულს გადაგვარებას.

რას ნიშნავს ეს—უკულტურობას, შეუგნებლობას, დაუდევრობას?

არავის შეუძლია თავის მართლება და მობოდიშება. ყველა მოახერხებს, კვირაში ორიოდე საათი მოანდომოს თავის შვილების სად აღზრდას და თავის ხელით მიიყვანოს ისინი სკოლაში, ყველა მოახერხებს იშოვნოს საამისო გზის ხარჯი—რამდენიმე სუ...

სირცხვილია!

ქართველო მშობლებო, გონს მოდით და მაგალითი მიეცით ერთმეორეს!

ნუ ღალატობთ თქვენს ერს, ნუ ივიწყებთ სამშობლოს.

რაც უნდა შევიწროვებულნი იყვნეთ, მაინც შეასრულეთ წმინდა ვალდებულება შვილების წინაშე!

◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆

ქართველ მშობელთა საყურადღებოთ!

ა. წ. თებერვლის 4-ს ქართული ბიბლიოთეკის შენობაში (5, Villa d'Orléans, მეტრო Alesia) ნაშუადღ. სრულ 5 ნახ. ს. ქართველ ბავშვებს დაეწყებათ მეცადინეობა ქართულ ენაში, სრულიათ უსასყიდლოთ.

მეცადინეობა იწარმოებს კვირაში ორჯერ:

ხუთშაბათობით 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

კვირაობით 4 საათ. 5 საათამდე.

მეცადინეობას ხელმძღვანელ. დ. ხარისჭირაშვილი.

მოწაფეთა წინასწარი ჩაწერა შეიძლება—ბიბლიოთეკაში ყოველ დღე საღ. 8 საათიდან 10 საათამდე.

წერილები რედაქციის მიმართ

I.

პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო,

უმორჩილესად გთხოვთ გამოაქვეყნოთ წარსულ დეკემბერში «ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტი»ს მიერ მოწყობილი «შობის ხის» ანგარიში.

შემოსავალი:

ბ ნი ა. მდივანი	ფრ. 4.000	
ქ-ნი ე. აფხაზის განკარგულებაში:		
1, ამერიკიდან	500	
2, ლონდონიდან ინგლ. კომ. მიერ	860	
ქართველთა ასსოციაცია	411	
ქ-ნ კალბი კარრინგტონ	200	
ბ-ნ ალ. ასათიანისათვის გადაცემული	50	
შესავალი ბილეთები	545	
«დედა-ენა» (გაიყიდა)	25	6.591

გასავალი:

დარბაზი	425	
ორკესტრი	175	
სანოვაგე და ხილი (ჰოლში ნაყიდი)	708.60	
სათამაშოები და ხის-მოწყობა	741.95	2.050.55
წმინდა შემოსავალი		4.540.45

კომიტეტი ულრმესს მადლობას სწირავს ბ-ნ ა. მდივანს მისი უხვი დახმარებისათვის და ასსოციაციის თავმჯდომარეს ბ-ნ ნ. ცინცაძეს. აგრეთვე შემდეგ პირთ, რომელთაც ყოველ მხრივ ხელი შეუწყვეს თავისი შრომით: ბ-ნ ლევან მამულაიშვილის ოჯახობას, ქქ. მ. ღოღობერიძეს, ლ. ნოზაძეს, მ. გვარჯალაძეს, მ. გვაზავას, ირა, ელზა და ნელი მდივანთ; ბბ. თუხარელს, ნაკაიძეს, გ. ერისთავს, გ. ბერიძეს, ჯ. გვაზავას, ი. და პ. ჯაფარიძეს.

ტ. ა. ქ. დ. კომიტეტმა დეკემბერში მიიღო პრაღიდან ბ-ნ ლომთათიძის მიერ შეგროვილი 165 ფრ. 45 ს. და თებერვალში ვარშავიდან ბ-ნ კ. იმნაძის საშუალებით ვარშავის კომიტეტისაგან: 350 ფრ. შემოწირულება და 140 ფრ. რომელიც შეადგენს იქ გაყიდულ დ. ხელაძის მიერ გამოცემულ «დედა-ენის» შემოსავლის ნახევარს. კომიტეტი დიდ მადლობას უძღვნის დასახელებულ პირთ და ორგანიზაციებს, რომელთაც ამ საერთო კრიზისის დროს მაინც არ დაიშურეს დახმარება.

ბ-მა დ. ხელაძემ კომიტეტს დაუთმო ნახევარი ყველა იმ თანხისა, რომელიც შემოვა მის მიერ დაბეჭდილ «დედა-ენის» კომიტეტის საშუალებით გაყიდვისაგან, რისთვისაც კომიტეტი ულრმესს მადლობას უცხადებს ბ ნ დ. ხელაძეს.

კომიტეტის თავმჯდომ.: ელ. აფხაზისა.

მოლარე: ელ. დეკანოზისა.

II.

ბატონო რედაქტორო,

გთხოვთ მიიღოთ ჩემი წვლილი—50 ფრანკი—ქართველ უმუშევართა სასარგებლოდ.

რ. ინგილო.

რომი. თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული ამბები

განზრახვა გვაქვს, პატარ-პატარ ამბების სახით, გავაცნოთ მკითხველებს საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მთავარი ეპიზოდი, რაც უეჭველია დაეხმარება მათ ჩვენი წარსულის შესათვისებლად. ეს კი აუცილებელი საჭიროებაა. ეხლანდელი ქართველობის უდიდესი ნაკლი თავის ერის თავგადასავალის სრული უცოდინარობაა და ამით მეტად შეფერხებულია როგორც ჩვენი საზოგადოებრივი მუშაობა, ისე ყოველდღიური ცხოვრება. ადამიანები, რომელთაც არა უწყიან რა თავის ქვეყნის გარდასრული ამბების, ვერასოდეს აწარმოებენ სწორს ეროვნულ პოლიტიკას და ვერც პრაქტიკულ უნარიანობას გამოიჩენენ, რადგან სინამდვილისაგან გარიყულნი არიან. საქართველოს დღევანდელი დღე გუშინდელის წარმოშობილია და ვერავინ გაიგებს აწმყოს, ვინც გუშინდელს არ იცნობს.

განსაკუთრებით საჭიროა ქართველი ერის ისტორიის ცოდნა ემიგრანტობაში, როცა მოკლებულნი ვართ საშუალებას უშუალოთ განვიცადოთ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ერი. აქ შეგვიძლია მხოლოდ მშობლიურ ისტორიაში ხშირი ჩახედვით და ისტორიული ამბების მოგონებით გავიცხოველოთ ჩვენს შემეცნებაში ქართველი ერი და წარმოვიდგინოთ იგი როგორც სრული რეალობა და არა განყენებული იდეა. ეს აუცილებელია უპირველასად აქაურ ჩვენი მოზარდ თაობისათვის, რომელსაც მკრთალი სახე აქვს დარჩენილი სამშობლოსი ან არც კი ახსოვს ან არც უნახავს.

იმედი გვაქვს, ჩვენი ისტორიული ეპიზოდები ქართველ მკითხველს დაინტერესებს და შემდეგ იგი მოინდომებს, უფრო ვრცლად და დალაგებით გაეცნოს საქართველოს ისტორიას, რომელიც ოღონდაც რომ მდიდრია და აღსავსე სიდიადით.

ამ «ისტორიულ ამბებს» ვიღებთ «ქართლის ცხოვრებიდან», ხანდახან შეგვაქვს მცირეოდენი ცვლილება, ხან დაურთავთ რასმე, ხან მატიანეს მოცემულ თეზას გავშლით და გავაფართოვებთ, ხოლო ნამდვილ ფაქტებს არასოდეს ვღალატობთ. «ქარ. ცხ.»ის ნაამბობს აქა-იქ ლეგენდური ხასიათი აქვს, მაგრამ ეს ლეგენდაც ძვირფასია, რადგან გამოხატავს ჩვენი ერის იდეალს, რწმენას, მისწრაფებას. მაგალითად წმ. ნინოს ცხოვრებაში (იმ სახით, როგორცაა «ქ. ცხ.»ში, შედგენილია დაახლოვებით მეათე საუკ.) ვხედავთ, რომ ქალის მაღალი პატივისცემა, რომლის უაღრესი გამოხატულება რუსთაველმა მოგვცა, შორიდან შემუშავებული ეროვნული თვისებაა.

ორიოდე სიტყვა თვით «ქარ. ცხოვრების» შესახებაც: ეს ჩვენი ისტორიის უმთავრესი წყაროა, თუმცა არაა ერთად ერთი—არსებობს სხვა ისტორიული დოკუმენტებიც. «ქ. ც.» შეიცავს სხვადასხვა პირების დაწერილს ისტორიულ აღწერილობას. მეათე საუკუნემდის შედგენილია წერილობით თუ სიტყვიერი გადმოცემების მიხედვით მე-11 ს. დასაწყისის ისტორიკოსის მიერ. მერმინდელი ამბები მე-14 ს. დის აღწერილია სულ თანამედროვეების მიერ. აქედან მე 17 ს-მდის ჩვენი მატიანე არ დაწერილა ან არ შენახულა და მე-18 ს. დამდეგს ვახტანგ VI-ის მოწვეულ სწავლულ კაცთა კომისიამ სხვადასხვა ისტორიულ საბუთების წყალობით შეადგინა «ქ. ცხ.»ის გაგრძელება. არსებობს აგრეთვე უცნობი პირის შედგენილი სხვა გაგრძელებაც. მე 17 და 18 ს. ს. შესახებ მოიპოვება თანამედროვეთა აღწერილობანი. მე-18 საუკუნეშივე ცხოვრობდა ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი, რომელმაც დაგვიტოვა ძვირფასი გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული აღწერა საქართველოსი და «ისტორია».

I. წმ. ნინოს სიზმარი.

ახალი ზაფხულის მცხინვარე მზე ჩასასვლელად დახრილიყო, როცა ნინო, რომელი ტყვედ იტყოდა თავის თავს, ჯავახეთში ფარავნის ტბას მიუახლოვდა. გრძელი გზა გამოიარა და მრავალნი ჭირნი დაითმინა, იერუსალიმიდან რომში და რომიდან სომხეთში და ქართლისა ქვეყანამდის...

ჯერ კიდევ ბავში იყო, მამა მისი ზაბულონ ბერად რომ აღიკვეთა და წარვიდა სახარების საქადაგებლად კაცთა ველურთა შორის, ხოლო დედამ სოსანამ ძაძა შეიმოსა და მისცა თავი გლახაკთა დედათა მსახურებას. მაშინ ნინო მისმა ბიძამ მონაზონს ნიაფორს, დვინელს სომეხს, მიაბარა გასაწრთვნელად.

ნიაფორმა სიყვარულით მიიღო ობოლი და ამ სიტყვებით მიეგება: «ვხედავ, შვილო ჩემო, ძალსა ძუისა ლომისასა, რომელი შეუძახებს ყოველთა ოთხფეხთა, გინა არწივსა დედალსა, რომელი უფროს მამლისა აფრინდება მაღლა ჰაერში და მიმოხედავს მთელს ხმელეთს თავის მარგალიტისა მცირითა გუგათი და რა დაინახავს საჭმელსა მისა, მიეტევის მას ზედა. ეგრეთ იყოს ცხოვრება შენი.» ორი წელი დაჰყო ნინომ ნიაფორთან და ზედმიწევნით შეისწავლა ქრისტეს ცხოვრება და სახარება, ვინაითგან ნიაფორი დიდი მეცნიერი იყო სჯულის, ძველისა და ახლის და ყოველივე დალაგებით გააცნო ნინოს. ხშირად უამბობდა ქრისტეს კვართის ამბავს, რომელი ერგო მცხეთელ ურიათ, წამოიღო იგი ელიოზმა და მიეგება მას და მისი, წადიერებით და სურვილით შეიტკბო კვართი მკერდსა და მყის განუტევა სული და დამარხეს და არ გამოუღეს მკერდიდან კვართი უფლისა.

ჰკითხავდა ნინო: თუ სადაა მცხეთა და ვინაა ერი იქაური? და ეტყოდა ნიაფორი: ქვეყანაა ქართლისა, სომხეთის ჩრდილოსა, და არის საწარმართო.

და კვალად უამბობდა ნიაფორი: შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რა ჟამს წილ იგდეს მოციქულთა, მაშინ ღვთისმშობელს წილად ხვდა მოქცევა ქართლისა. ხოლო ეჩვენა მას ძე მისი იესო და ჰრქვა: «დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი, უფროს ყოველთა ნათესავთა ღირსი პურისა ზეცისა. მაგრამ შენ წარავლინე ანდრია პირველწოდებული ნაწილსა მას შენდა ხვედრებულსა და თანა წარატანე ხატი შენი».

წამოვიდა მოციქული ანდრია პირველწოდებუ-

ლი, ბრძანებითა ღვისმშობლისა მარიამისა, და მოვიდა ტრაპიზონს, რომელი არის ქალაქი მეგრელთა, სადა კაცნი პირუტყვთა უგნურეს იყვნენ და ყოველსა არაწმინდასა და საძაგელსა წესსა აღასრულებდენ. მოაქცია ყოველნი და მოიყვანა სარწმუნოებად. მერე მოვიდა საზღვარსა სამცხისასა და ქმნა სასწაულნი, დაამსხვრია ელენთა კერპნი აპოლონისა და არტემისა. შეკრბნენ მესხნი ყოველი მხრით, ირწმუნეს ქრისტე და სიხარულით ნათელ იღეს. დაუდგინა ანდრიამ მღვდელნი და დიაკონნი, დაუტოვა ხატნი და ჯვარნი და დაბრუნდა იერუსალემს. ხოლო ესმა რა ქართლისა მეფესა ადერკის ქართველთა და მეგრელთაგან წინაპართა სჯულის დატევება, გაგზავნა ერისთავნი და იძულებით მოაქცია ყოველნი, და გაუწყრა ერისთავსა კლარჯეთისა, რომ მშვიდობით განუტევა ანდრია...

გულდასმით უსმენდა ნინო ნიაფორს და აღეძრა დიდი წადილი, მონახოს კვართი უფლისა და იხილოს ქვეყანა ქართლისა, რათა განავრცოს ანდრიას მოციქულობა, დაიხსნას ერი წარწყმენდილი და მიფინოს მადლი სახარებისა ნაწილსა ყოვლად წმიდისა წილხდომილსა.

შეხვდა დედაკაცი ვინმე ეფესოდან და მასთან ერთად გაემგზავრა რომს. ნახა მუნ ქრისტეს მოყვარე დედოფალი რიფსიმე და სახლეულნი მისნი, იმყოფებოდა მათთან მონასტერში და კვლავ გამოიძიებდა ქართლისა ამბავს.

ამის შემდგომად სდევნა კეისარმა რიფსიმე და ყოველნი მისნი. და რა იხილეს ესე განსაცდელი წმიდათა დედათ, ფარულად დასტოვეს სავანე, ივლტოდენ და მიაწიეს არეთა და კერძოთა სომხითისა. ხოლო მეფე ამა ქვეყნისა თრდატ აღივსო ტრფიალებითა და განიზრახა რიფსიმეს ცოლად მოყვანება. წმიდამან უარი უთხრა ურწმუნოსა მეფეს და მაშინ აწამეს რიფსიმე და მასთან სხვა ასულნი. რომელნიმე მათგანი დაიმალნენ და გამოიქცნენ. ეგრეთვე ნინო დამალულ იყო ეკალთა შორის და შემდეგ ღამით, ტყე და ტყე მავალი, წამოვიდა ჩრდილოს და მოაწია ჯავახეთს.

«აჰა ქვეყანა იგი, სადა ფრიად არს სამკალი, ხოლო მუშაკი ყოვლად არა!» თქვა ნინომ თავის გულში. გადაავლო თვალი არე-მარეს—შორს მოსჩანდა მთები, თოვლითა სავსენი, და შეძრწუნდა.

შეეშინდა მარტოს, უცხოს მხარეს, დაუმძიმდა ტვირთი.

მიიხედა უკან—გრძელი და ძნელი გზა იყო გამოვლილი. გაიხედა წინ—უარესი მოელოდა: კაცნი წარმართნი და არაწმინდანი, და გარშემო ტყენი და მთანი! რაოდენი გასაჭირი, რაოდენი დევნა და განსაცდელია გამზადებული მისთვის! ვით შეუძლია მას, ქალს ულონოს, შეებრძოლოს ასპიტთა და იქედნეთა?

დაღონდა მწარედ, განზრახულის შიში შეეპარა, ულირსად თვლიდა თავისთავს და იტყოდა: «უფალო, უფალო, მიიღე სული ჩემი ჩემგან».

დამაშვრალს, მშიერს მუხლები მოეკვეცა. დაჯდა. სული მოითქვა. დაისვენა.

ტბაზე მონადირე მეთევზურთა ესე შეწუხებული დედაკაცი რომ იხილეს, საზრდელი მიაწოდეს. შებინდდა და მახლობლად მწყემსნი დაბინავდნენ და სერობა განიმზადეს. ხოლო ვიდრე ლუკმას აიღებდენ, თავიანთი ღმერთები არმაზი და ზადენი ადიდეს და დიდთა შესაწირავთა აღუთქმიდენ. «ოდეს მოვიდეთ წინაშე თქვენსა მშვიდობითო». სათნო ჩნდა მათი სახის სიკეთე, მივიდა ნინო მათთან და რადგან ესწავლა მცირედ ნიაფორისაგან სომხური, ჰპოვა მწყემსთა შორის ერთი მზრახველი სომხურისა და ჰკითხა:

—რომლისა სოფლისანი ხართ?—მწყემსმა მიუგო: ვართ ჩვენ ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ!

იწყეს უბნობა და ეტყოდა მწყემსი: მეფე ჩვენი არს უდიდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, ოდესმე ყოფილთა და ღმერთი არმაზი არის უძლიერეს ყოველთა ღმერთთა სოფლისათა და კერპი მისი სპილენძისა აღმართულია მცხეთას, აცვია ტანსა ჯაჭვი ოქროსა და თავსა ხურავს ჩაფხუტი ოქროსავე, სამხრენი და თვალნი აქვს ზურმუხტისა და ბივრიტისა და უპყრია ხმალი ელვარე, რომელი მიმოიქცევის ხელსა მისა შინა და შიშსა და ვაებასა დასცემს ყოველთა მხილველთა, და თვით მეფე პირქვე დაემხობა წინაშე მისა. მეფე ქართლისა არს მირიან, ძე სპარსეთისა მეფისა ქასრესი, ვინაიდგან დაესრულა მეფობა ფარნავაზიანთა და არშაკუნიანთა, და ერისთავთა სთხოვეს ქასრეს ყრმა შვილი და შერთეს მას ასული უკანასკნელი მეფის. ხოლო ეს მირიან აღიზარდა ქართლში, შეიყვარა ქართველნი, დაივიწყა სპარსული და დაისწავლა ენა ქართული. მიიცვალა პირველი ცოლი მირიანისა და დღეს დედოფალია ნანა...

დაქანცული, სასოწართმეული, მწარე საგონებელს ჩავარდნილი განშორდა ნინო მწყემსებს და კიდევ უფრო შეუშინდა თავის, დიდი ხნის, მისწრაფებას.

განმარტოვდა, დაადვა თავი ლოდსა და ვით წყარონი ადინა ცრემლნი. სტიროდა და ევედრებოდა ქრისტეს შებრალებას და პატივებას, რომ იტვირთა საქმე, რომლის არა იყო შემძლებელ: «მე, უფალო, დედაკაცი ვარ და უმეცარი, როგორ მივიდე უცხოსა ქვეყანასა და ვუქადაგო სიტყვა შენი კაცთა მათ უცხო-თესლთა».

დაუძლურებულმა დაიძინა იქვე და ნახა სიზმარი. მოვიდა კაცი ერთი ჰასაკითა ზომიერ, თმითა ნახევართმოსანი, შებლარდნილი ცეცხლისა ზეწარითა და ჰრქვა:

«არცა მამაკაცება არს, არცა დედაკაცება, არამედ თქვენ ყოველნი ერთ ხართ. წარვედ და მოიმოწაფე ყოველნი წარმართნი და ნათელი ეც ერსა ქართლისასა».

დილით ადრე გამოიღვიძა ნინომ და სიზმარი უჩნდა, როგორც ნამდვილი ნიშანი და ბრძანება ღვთისა. რწმენითა და სიხმნით გამოისახა პირს ჯვარი და მტკიცედ დაადგა გზას, რომელიც მწყემსთა ასწავლეს, მცხეთისა ქალაქისაკენ.

ს. ფირცხალავა.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise.*

Le Gerant : A. LARGILLIÈRE.